

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა



ქეთევან მამალაძის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

მიწოდებაზე უარის კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება და  
კონტრაქტების იძულება, როგორც არასრული ალტერნატივა

ხელმძღვანელი: ნიკა სერგია

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

თბილისი

2021

## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

ECJ-ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice of the European Union)

TFEU-ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (Treaty on the Functioning of the European Union).

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სააგენტო-სსიპ კონკურენციის ეროვნული სააგენტო

კომისია-ევროპული კომისია

ასოცირების შესახებ შეთანხმება - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;

OECD- The Organisation for Economic Co-operation and Development

## სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	2
შესავალი.....	4
თავი I. მიწოდებაზე უარი, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.....	6
1.1. კონტრაქტების იძულების სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტი.....	6
1.2. მიწოდებაზე უარი, როგორც კონკურენციის შეზღუდვა.....	13
1.3. მიწოდებაზე უარის განმსაზღვრელი ელემენტები.....	22
1.3.1 აუცილებელი საქონელი/მომსახურება.....	22
1.3.2. მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით.....	28
1.3.3. ზიანი.....	30
1.3.4. ობიექტური გამართლების შეუძლებლობა.....	34
თავი II. კონტრაქტების იძულება - მიწოდებაზე უარის სამართლებრივ შედეგი, თუ ალტერნატიული მოწესრიგება სსკ-ში.....	40
2.1. სახელშეკრულებო თავისუფლების კონკურენციისსამართლებრივი საზღვრები.....	41
2.2. მიწოდებაზე უარის კონკურენციისსამართლებრივი და კონტრაქტების იძულების სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტების მიზნობრივი და ფუნქციური მსგავსება.....	46
2.3. კონტრაქტების იძულება - არასრული ალტერნატივა.....	48
2.4. კონკურენციისსამართლებრივი მოწესრიგების ეფექტიანობა.....	51
2.5. კონტრაქტების იძულება, როგორც მიწოდებაზე უარის კონკურენციისსამართლებრივი შედეგი.....	52
დასკვნა.....	67
ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....	72

## შესავალი

ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლამ საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა, კერძოდ ასოცირების შესახებ შეთანხმებამ, რომელიც დაიდო ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის<sup>1</sup>, საქართველოს ვექტორი ევროპული კონკურენციის კანონმდებლობისკენ წარმართა.

მეორე მხრივ, ბიზნეს- თუ აკადემიურ წრეებში ჯერაც აქტუალურია დისკუსია იმის თაობაზე, საერთოდ არის თუ არა აუცილებელი კონკურენციის სამართლის ტიპის მარეგულირებელი კანონმდებლობა ისეთი ეკონომიკისათვის, როგორც საქართველოა, ხომ არ არის იგი ზედმეტი ტვირთი კერძო სუბიექტებისათვის, მით უფრო, ხელშეკრულების თავისუფლების კონკურენციის სამართლებრივი საზღვრების გათვალისწინებით, ან იქნებ, სამართლის უკვე არსებული და განვითარებული დარგებიც წარმატებით ახერხებენ პასუხი გასცენ იმ სამართლებრივ პრობლემებს, რომელთა მოწესრიგებას კონკურენციის სამართალი იღებს საკუთარ თავზე.

სწორედ ზემოთ მოყვანილი კითხვებისა და ჰიპოთეზების შემოწმება წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის საკვლევ თემას, რაც განხორციელდა კონკურენციის სამართლის ისეთი ელემენტის ანალიზის მაგალითზე, რომელსაც გააჩნია ერთგვარი შესატყვისი კონკურენციის სამართლის მიღმა, სამოქალაქო სამართალში. კერძოდ, საკვლევით თემის ფარგლებში განხილულია ერთი მხრივ, მიწოდებაზე უარი და მისი კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება და მეორე მხრივ, კონტრაქტების იძულება, როგორც შესატყვისი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს, ერთი მხრივ, მათი ფუნქციური და მიზნობრივი მსგავსება, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანი განსხვავება

---

<sup>1</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი , თებერვალი, 2014

მოწესრიგების ეფექტიანობაში, რამაც რეალური წარმოდგენა უნდა შექმნას ამ კონტექსტში კონკურენციის სამართლის აუცილებლობასა და გამოსადეგობაზე.

თემაში არსებული პრობლემის აქტუალობა ცალსახაა, ერთი მხრივ, ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების კონტექსტში, რაც ევროპული მიდგომების დანერგვასა და საქართველოში კონკურენციის სამართლის, როგორც შედარებით ახალი დარგის განვითარებას გულისხმობს, რაც მიმდინარე სამართლებრივი და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესია, მეორე მხრივ კი, განსახილველი საკითხი ამ ფორმით ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მიუხედავად იმისა, რომ მის ცალკეულ ელემენტებზე არსებობს მნიშვნელოვანი აკადემიური რესურსი, პრობლემური ნიუანსების უშუალოდ ამ კუთხით განხილვა აკადემიური სიახლის ელემენტებს შეიცავს.

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ორივე ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, მათი მოქმედების სფერო, მათი ფუნქციები და მიზნები, რაც განაპირობებს გამოვლინდეს ის რეალური ბერკეტი, რომელიც ნორმის აღსრულებისა და პრაქტიკაში განხორციელების საწინდარია.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი კონკრეტული სახის, კერძოდ, მიწოდებაზე უარის განხილვა, წარმოაჩენს მის ეფექტურობას დასახულ მიზნებთან მიმართებით, რაც სამართლებრივ შედეგად ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტის-კონტრაქტების იძულების არსი კი, რაც განსაზღვრავს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე პირის ვალდებულებას, რომ იმ სფეროში, სადაც იგი დომინანტია, დადოს ხელშეკრულება მეორე მხარესთან და არ შესთავაზოს მას უსაფუძვლოდ ხელშეკრულების არათანაბარი პირობები,<sup>2</sup> სწორედ რომ მასთან ავლენს ფუნქციურ მსგავსებას და მათი ერთობლივი მოკვლევა გამოკვეთს

---

<sup>2</sup> გელაშვილი ი. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 61, ველი 24

კონტრაქტების იძულების განსაზღვრებას ალტერნატიულ მოწესრიგებად თუ უშუალო სამართლებრივ საფუძვლად.

აღნიშნულ თემაზე მუშაობა ემსახურება ერთი მხრივ, ევროპული კონკურენციის სამართლებრივი მოდელის გაანალიზებას და მისი პრაქტიკის გაცნობას, კონკურენციის სამართლებრივი მოწესრიგების ეფექტიანობისა და აუცილებლობის დემონსტრირებას, მიწოდებაზე უარის ევროპული და ქართული პრაქტიკისა და აკადემიური მასალის შეჯერებით მისი მიზნობრივი და ფუნქციური მსგავსებების გამოკვეთას კონტრაქტების იძულების ინსტიტუტთან მიმართებით, ასევე სამოქალაქო მოწესრიგებაში პრობლემური ელემენტების განხილვას ნორმის ეფექტიანობასა და გამოსადეგობის კუთხით, მეორე მხრივ, ხელს უწყობს კონკურენციის სამართლის დარგის პოპულარიზაციას და სფეროსადმი დაინტერესებული პირებისათვის აქტუალური საკითხების წარმოჩენას.

საკვლევი თემის ფარგლებში გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, განიხილება ევროპული კავშირის კონკურენციის კანონმდებლობისა და დადგენილი პრაქტიკის ანალიზი და მისი ურთიერთმიმართება ქართულ რეალობასთან.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ორ ძირითად თავს, მის შესაბამის ქვეთავებსა და დასკვნას.

თავი I. მიწოდებაზე უარი, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

### 1.1. კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი

კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი, ერთი მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანი, ხოლო მეორე მხრივ, პრობლემურია. არსობრივად იგი

ერთგვარი გამონაკლისია სახელშეკრულებო თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპიდან და ამასთან მისი შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმაა. მის მიზანს წარმოადგენს, დაიცავს იმ პირთა უფლებები, რომელთა შელახვა შესაძლოა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე პირმა მოახდინოს.<sup>3</sup>

კონკურენციის სამართლის თვალსაზრისით, სწორედ ამ კუთხით არის საინტერესო კონტრაქტების იძულება, ვინაიდან იგი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გვევლინება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი საჭიროებს საკმაოდ ღრმა ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტების იძულებისას ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე პირის სურვილი (ნება) გამოკვეთილია მისი საქმიანობის დაწყებისთანავე, ვინაიდან იგი მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისკენ, შესაბამისად ხელშეკრულების დადების ვალდებულებით ბოჭვა საბაზრო ასპარეზზე გამოსვლისთანავე არის გამოვლენილი.<sup>4</sup>

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის თემასთან მიმართებით ევროპულ სამართლებრივ წყაროებში მიმდინარეობს დისკუსია და მთავარი აქცენტი დაესმის საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად დასაშვებია ევროპული კონკურენციის სამართლის ჩარევა იმგვარად, რომ საბაზრო ძალაუფლების მქონე საწარმოს მოსთხოვოს მიწოდება ან თავის საკუთრებაზე წვდომის მიაწოდება. ეს მოთხოვნა პირდაპირ მიემართება ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც საწარმოები არიან თავისუფალნი, კერძოდ საქმიან ურთიერთობაში შეუძლიათ იმყოფებოდნენ იმათთან, ვისთანაც მათ სურთ და თავისუფლად შეუძლიათ განკარგონ თავიანთი ქონება ისე, როგორც ამას საჭიროდ მიიჩნევენ. სახელშეკრულებო თავისუფლების ეს ფუნდამენტური პრინციპი გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკიდან, რაც

---

<sup>3</sup> ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაქტების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 67

<sup>4</sup> ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 163

წარმოადგენს ევროკავშირისა და მისი თითოეული წევრი სახელმწიფოს ცენტრალურ ეკონომიკურ მახასიათებელს და იგი ნათლად გამოხატულია ევროპული სასამართლოების კონკურენციის საქმეებში.<sup>5</sup>

ამრიგად, ევროკავშირის კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მხოლოდ გარკვეულ კონკრეტულ გარემოებებში, საკმაოდ ფრთხილად არის შესაძლებელი, რომ მოხდეს ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში მოქცევა იმ მიზნით, რომ საწარმოებს შორის კონკურენცია გრძელვადიან პერსპექტივაში ზედმეტად არ შეიზღუდოს მომხმარებელთა საზიანოდ.<sup>6</sup>

ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოთა საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების შესამცირებლად, მათი გავლენის გარკვეულ საზღვრებში მოსაქცევად, უმჯობესია განისაზღვროს ზუსტი სამართლებრივი ჩარჩო, რასაც დაეფუძნება დომინანტის მიერ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ მოქცევა კონტრაქტების იძულების სამართლებრივ რეგულირებაში.<sup>7</sup>

ამგვარად, როდესაც საქმე ეხება კომპანიის დავალდებულებას, გარიგება დადოს კონკრეტულ მომხმარებლებთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გავლენას, რომელიც ასეთ ჩარევას შეიძლება ჰქონდეს ინვესტიციების და ინოვაციების წახალისებაზე და მის ზემოქმედებას შესაბამის ბაზრებზე. ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენა ამ წახალისებებზე, სავარაუდოდ, არ შეიძლება შეადგენდეს მომხმარებელთა გრძელვადიან ინტერესს. კერძოდ, ჩარევა არ იქნებოდა გამართლებული, თუ მიწოდების ვალდებულება არ გააკეთებდა იმაზე მეტს, ვიდრე ის რომ გამოეწვია დომინანტი საწარმოს ტექნოლოგიების დუბლირება, რითაც მის

---

<sup>5</sup> Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100; Organisation de Coopération et de Développement Economiques; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 2

<sup>6</sup> იქვე

<sup>7</sup> ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაქტების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 68

კონკურენტებს თავიანთ ინვესტიციებზე „უბილეთო მგზავრების,, („free riding”<sup>8</sup>) როლში გამოიყვანდა.<sup>9</sup>

ქართულ სამოქალაქო სამართალში, ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, სადაც მხარეთა თანასწორობა უგულებელყოფილია, შესაძლოა, რომ მხარეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით მოხდეს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა. სსკ-ს 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი სწორედ ამ ბალანსის მიღწევას ემსახურება და სამოქალაქო ბრუნვაში არსებულ შედარებით ძლიერ და გამოცდილ მხარეს, ამ შემთხვევაში ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირს, გარკვეულწილად უზუდავს სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებს.<sup>10</sup>

სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილის ეს დანაწესი ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე პირს ავალდებულებს, რომ საქმიანობის იმ სფეროში, სადაც დომინანტია, დადოს ხელშეკრულება და თან კრძალავს კონტრაქტისთვის უსაფუძვლოდ ხელშეკრულების არათანაბარი პირობების შეთავაზებას.<sup>11</sup>

უფრო დეტალური განხილვისთვის შეგვიძლია გამოვყოთ ის პრობლემური ელემენტები, რაც თან ახლავს კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივ მოწესრიგებას:

## დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე

---

<sup>8</sup> შედარებისთვის იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, 2019, გვ. 149 და Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, გვ. 21

<sup>9</sup> Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100; Organisation de Coopération et de Développement Economiques; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 2

<sup>10</sup> ჩაჩავა ს. , მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, გვ. 100

<sup>11</sup> გელაშვილი ი. , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 61, ველი 24

ქართულ საკანონმდებლო რეგულირებაში, სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი საუბრობს ბაზარზე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის დომინირებულ მდგომარეობაზე, თუმცა იგი არ აკონკრეტებს თუ ვინ არის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირი. გამომდინარე აქედან, იგი ვერ იძლევა ნორმის გამოყენების შესაძლებლობას იმგვარად, რომ ზუსტად განსაზღვროს, თუ ვის ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მხარე, რომ იგი ამ საკანონმდებლო რეგულირებაში მოექცეს.<sup>12</sup>

სწორედ ამ უპირველესი მიზეზის გამო, სამოქალაქო სამართალი საჭიროებს მოშველიებას კონკურენციის სამართლიდან, რათა განსაზღვროს დომინანტი ეკონომიკური აგენტის ცნება, თუ ვისზე გაავრცელოს ეს დანაწესი. უფრო კონკრეტულად, საჭიროა დავიხმაროთ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>13</sup>, კერძოდ მე-3 მუხლის პუნქტი „ი“, რომელიც გვთავაზობს განმარტებას, რომ „დომინანტური მდგომარეობა ეს არის– შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.“

ამგვარად სამოქალაქო კოდექსში არსებული კონტრაქტების იძულების ინსტიტუტთან მიმართებით, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური

---

<sup>12</sup> გელაშვილი ი. , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 61, ველი 25

<sup>13</sup> იქვე (სქოლიო N11)

აგენტის (საწარმოს) განმარტებისათვის საჭიროა ამ ცნების განსაზღვრების კონკურენციისსამართლებრივი რეგულირების მოშველიება.

### **უსაფუძვლოდ ხელშეკრულების არათანაბარი პირობების შეთავაზება**

პირველ რიგში ამ მუხლის ჩანაწერში ყურადღებას იპყრობს ტერმინი „უსაფუძვლოდ“, საინტერესოა, რა იგულისხმა კანონმდებელმა, როდესაც ამ დანაწესის საკანონმდებლო რეგლამენტაციას ახდენდა. თავად ტერმინი საკმაოდ ზოგადია და შეიძლება ითქვას კიდევაც, რომ ბუნდოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ იგი საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ამ საფუძველში კეთილსინდისიერების პრინციპიც რომ ვიგულისხმოთ, მას მაინც ზოგად განმარტებამდე მივყავართ და გამომდინარე აქედან, კვლავ რჩება, როგორც განმარტებისა და შეფასების საგანი.

ამასთან გასარკვევია, თუ რა იგულისხმება **არათანაბარ პირობებში**, რადგან სსკ-ში ზოგადად ნახსენები ეს ტერმინი ცალსახად განჭვრეტადი არ არის. ამ საკითხზე შეგვიძლია, მოვიყვანოთ მაგალითი კონკურენციის სამართლიდან, კერძოდ დისკრიმინაციაზე მსჯელობისას გვაქვს პრობლემატიკა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დომინანტი საწარმოს მიმართ მის საქონელზე მომხმარებელს შესაძლოა ჰქონდეს მოთხოვნა დიდ პარტიაზე, ამ დროს მწარმოებელი მიწოდების მიზნით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღწევს მასშტაბის ეკონომიას, რაც ამცირებს მის ხარჯებს და აქედან გამომდინარე მას წარმოეშობა მოთხოვნილი პროდუქციის უფრო იაფად მიწოდების შესაძლებლობა, მაშინ როდესაც თუ იგივე პროდუქტი ერთჯერადად იწარმოება ერთი შეკვეთის ფარგლებში, ამან შეიძლება გამოიწვიოს დანახარჯის გაზრდა და შესაბამისად ფასის მატებაც.<sup>14</sup> ამგვარად, ფასისმიერი დისკრიმინაციის ეს მაგალითი მიგვითითებს, რომ რაოდენობრივი განსხვავების დროს გასხვავებული პირობები არ არის პრობლემა გარკვეულ

<sup>14</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 453

შემთხვევებში, რაც კონკურენციის სამართლის კუთხით განსახილველია სპეციალური ტესტების შემოწმების მეშვეობით, რასაც სამოქალაქო სამართლის ეს ნორმა თავისთავად ვერ გადაწყვეტს.

დისკრიმინაციის ქრილში ამ საკითხს ეხმიანება ევროკავშირის პრეცედენტული სამართალი, კერძოდ Post Danmark<sup>15</sup>-ის საქმე, სადაც სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და დაადგინა, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე ცალსახად არ უთითებს ის გარემოება, რომ ერთი და იმავე მომსახურების გაწევის დროს, როდესაც მსგავსი ხარჯი არსებობს, მომხმარებელს დაუწესო სხვადასხვა ტარიფები ან როდესაც ხარჯები განსხვავებულია დაუდგინო მათ ერთი და იგივე ტარიფი.<sup>16</sup>

აქედან გამომდინარე კი, არათანაბარი პირობების ეს ჩანაწერი სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგების არასრული ალტერნატივის იდეას კიდევ უფრო განამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ კონტრაპირების იძულება თავის თავში გულისხმობს და მის მიზანს წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ვალდებულება, აქედან გამომდინარე, იგი ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის გაძლიერებას და ხელშეწყობას და ეს ფუნქცია მას შეთავსებული აქვს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კონტრაპირების იძულების არსებობის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სწორედ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები და ეს შეხედულება გარკვეულწილად დამკვიდრებულია იურიდიულ ლიტერატურაში.<sup>17</sup>

კონკურენციის სამართალი და სამოქალაქოსამართლებრივი ეს ინსტიტუტი რომ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ამას ადასტურებს მსჯელობა საკითხზე, რომელიც

---

<sup>15</sup> იხ. Case C-209/10, Post Danmark A/S v Konkurrencerådet [2012] Electronic Reports of the Court, ECLI:EU:C:2012:172

<sup>16</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 455

<sup>17</sup> ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაპირების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 70-71

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ განავითარა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ სამოქალაქოსამართლებრივი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვის ზღვარი გადის სწორედ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დანაწესზე, რომელიც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისთვის აწესებს კონკრეტულ აკრძალვებს. ამიტომაც, ეს პრინციპი დომინანტისთვის ვერ იქნება მიწოდებაზე უარის გამამართლებელი საფუძველი, რადგანაც სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლების ზღვარს წარმოადგენს სწორედ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.<sup>18</sup>

შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კონტრაქტების იძულება საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, ვინაიდან იგი ემსახურება მომხმარებელთა საუკეთესო ინტერესების დაცვას. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვასთან მიმართებით, იგი აღწევს იდეალურ ბალანსს, რადგან მას საფუძველს უმყარებს მხარეთა თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი.

## 1.2. მიწოდებაზე უარი, როგორც კონკურენციის შეზღუდვა

მიწოდებაზე უარის განხილვისას, თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ იგი წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ ფორმას, რომლის აკრძალვა რეგულირდება ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლით, ხოლო რაც შეეხება ქართულ საკანონმდებლო მოწესრიგებას, განსაზღვრულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით.

---

<sup>18</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020 , გვ. 67

ანტიკონკურენციულ ქმედებათა ძირითადი ჯგუფების<sup>19</sup> შემადგენლობაში მოიაზრება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლის ერთ-ერთი სახეა მიწოდებაზე უარი.

ევროპულ და ქართულ მიდგომასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მიწოდებაზე უარის საკანონმდებლო რეგლამენტაცია მუხლობრივად ერთი და იგივეა, ასევე ერთნაირად არის განსაზღვრული თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. თუმცა აღსანიშნავია, რომ TFEU-ის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტი გვთავაზობს იმ მაგალითებს, რაც პრაქტიკაში შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, შესაბამისად ამ დანაწესით არ გვაქვს აკრძალულ ქმედებათა ამომწურავი ჩამონათვალი.<sup>20</sup>

აღსანიშნავია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კატეგორიზაციის თვალსაზრისით, ზოგადად კლასიფიცირდება, როგორც ექსკლუატივისკენ და ბაზრიდან განდევნისკენ მიმართულ ქმედებათა ტიპებად. კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები აღსრულებისას პრიორიტეტების დადგენასთან დაკავშირებით TFEU-ის 102-ე მუხლის შესახებ, განსხვავებს ამ ფორმებს და მისი მე-7 პუნქტი აშკარად აღნიშნავს, რომ იგი შემოიფარგლება მხოლოდ ბაზრიდან განდევნისკენ მიმართულ ქმედებათა შეფასებაში.<sup>21</sup>

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თავის მხრივ, შესაძლოა შეფასდეს, როგორც „ფასისმიერი“ და "არაფასისმიერი ქმედებები“, ჩამოთვლილთაგან მეორეს მიეკუთვნება, მაგალითად ექსკლუზიური გარიგებები, მიბმა, მიწოდებაზე

---

<sup>19</sup> ჯაფარიძე ლ. „კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში - მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები (შრომები), თბილისი, 2016, გვ. 9

<sup>20</sup> გაბრიჩიძე გ. , ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 251

<sup>21</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Edition, Oxford University Press, 2012, გვ. 201

უარი და ა.შ. ამასთან, არაფასისმიერი ქმედებების დროს დომინანტის ქცევა, როგორც კონკურენციის შემზღვეველი ქმედება პირდაპირ არ გამოძინარეობს ეკონომიკური აგენტის დანახარჯებიდან. იმისთვის, რომ კონკურენტების ბაზრიდან განდევნა მოხდეს სულ სხვაგვარ ქმედებებს ვაწყდებით. უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება და მათგან ერთ-ერთია მიწოდებაზე უარი.<sup>22</sup>

დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ძირითად სახეებად დაყოფა ხდება შემდეგნაირად: ექსპლუატატორული და გამრიცხველი ბოროტად გამოყენება. ჩამოთვლილთაგან პირველი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ხდება მომხმარებლების ექსპლუატაცია, რაც შეიძლება გამოიხატოს უსამართლოდ მაღალი ფასების დაწესებაში. ხოლო, რაც შეეხება გამრიცხველ ქმედებებს, ის თავის თავში მოიაზრებს დომინანტის მიერ კონკურენტის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს, რასაც შედეგად მოჰყვება კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შევიწროება, მათი ბაზარზე არშემვება და ბაზრიდან ჩამოშორება.<sup>23</sup>

ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული პრაქტიკა, როგორც წესი, განიხილება, როგორც ბოროტად გამოყენების ყველაზე მავნე ტიპი გამოძინარე იქიდან, რომ მას შეუძლია შეაფერხოს კონკურენციის პროცესი გრძელვადიან პერსპექტივაში - თავიდან აიცილოს მცირე ან ახალი კონკურენტი დომინანტი საწარმოების გააქტიურება და მათი სიცოცხლისუნარიან კონკურენტად გახდომა. ეს კი შედეგად იწვევს, რომ მომხმარებლებს აღარ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ სარგებელი, რაც გამოიხატება უკეთესი არჩევანის ქონასა და კონკურენციის არსებობაში.<sup>24</sup>

---

<sup>22</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 417

<sup>23</sup> მენაბდიშვილი ს. „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან“ (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად) „ევროკავშირი საქართველოსთვის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“, თბილისი, 2018, გვ. 30

<sup>24</sup> Abusing a dominant position- overview, ხელმისაწვდომია (05.09.2021)

[https://www.lexisnexis.com/uk/lexispsl/competition/document/391329/55KB-7MK1-F187-53G2-00000-00/Abusing\\_a\\_dominant\\_position\\_overview](https://www.lexisnexis.com/uk/lexispsl/competition/document/391329/55KB-7MK1-F187-53G2-00000-00/Abusing_a_dominant_position_overview)

რაც შეეხება მიწოდებაზე უარის მიკუთვნებას რომელიმე ჯგუფისადმი, იგი ყველაზე ზუსტად განეკუთვნება, როგორც ბაზრიდან განდევნის მიზნით განხორციელებულ ბოროტად გამოყენების ფორმას. ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად ამგვარი უარის თქმა უკანონოდ იქნება მიჩნეული მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც მას შეუძლია ბაზრიდან გამორიცხოს კონკურენტები, რითაც სერიოზულად საფრთხეს უქმნის ბაზარზე ეფექტიან კონკურენციას.<sup>25</sup>

რაც შეეხება მიწოდებაზე უარის ცალკეულ შემთხვევებს, არსებობს კომერციულ ქმედებათა ფართო სპექტრი, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც გარიგებაზე უარი. TFEU-ის 102-ე მუხლის მაგალითებად განიხილება უარის თქმის სახეობათა არასრული ჩამონათვალი, კერძოდ: ბაზარზე წვდომის ძირითადი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებაზე უარი, არსებითი ინფორმაციის მიწოდებაზე უარი, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ლიცენზიაზე უარი; უარი დაშვებაზე ან არსებით საშუალებაზე ან ქსელზე, ან ამის გაკეთება მხოლოდ არაეკონომიკური პირობებით. ამ სხვადასხვა ტიპის ქცევის დამაკავშირებლად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ის ფაქტორი, რომ იქნება ეს პროდუქტი, მომსახურება, ინფორმაცია, წვდომის უფლება, ანუ რაზეც უარი არის ნათქვამი, იგი წარმოადგენს სხვა ბაზარზე კონკურენტისთვის აუცილებელს.<sup>26</sup>

ამგვარად, კონკრეტული შემთხვევების შედეგად დადგენილი პრაქტიკით, ჩამოყალიბდა მიწოდებაზე უარის ცალკეული სახეები.

ევროპულმა კომისიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი დომინანტი ეკონომიკური აგენტების კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების აღსრულების პრიორიტეტების შესახებ, სადაც საუბარია, რომ მიწოდებაზე უარის კონცეფცია მოიცავს ფართო სპექტრის პრაქტიკას, როგორცაა პროდუქტის მიწოდებაზე უარი არსებული ან ახალი მომხმარებლებისთვის, უარი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ლიცენზირებაზე, მათ შორის, როდესაც ლიცენზია აუცილებელია

<sup>25</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 202

<sup>26</sup> იქვე

ინტერფეისის ინფორმაციის მისაღებად, აუცილებელ ობიექტზე ან ქსელზე წვდომის მინიჭებაზე უარი.<sup>27</sup>

ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობისა და მისი დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგად, მიწოდებაზე უარის გაანალიზებისას გამოიკვეთა ისეთი სიტუაციები, როდესაც დომინანტი ეკონომიკური აგენტები იმყოფებიან აღმავალ ბაზრებზე და ისინი უარს ამბობენ მიწოდებაზე იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც ოპერირებენ პერიფერიულ დაღმავალ ბაზრებზე. შესაბამისად, კონკურენციისაწინააღმდეგო ეფექტი დგება სწორედ მათთვის, ვინც პერიფერიულ ბაზრებზე იმყოფებიან.<sup>28</sup>

ამგვარად, მიწოდებაზე უარის შემთხვევების დროს იკვეთება ორი დონის ბაზრის არსებობა, რომლებიც განისაზღვრება, როგორც ზედა და ქვედა დონის ბაზარი და რაც მის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად იქცა.<sup>29</sup>

მიწოდებაზე უარი საკმაოდ რთული და საკამათო თემაა კონკურენციის სამართალში. პირველ ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში ასახულია, რომ საწარმოებს აქვთ უფლება, ანუ ნებადართულები არიან დადონ ხელშეკრულება მათთან, ვისთანაც სურთ.<sup>30</sup> მიწოდებაზე უარის დადგენის შედეგად დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა წინააღმდეგობაში მოდის საკუთრებისა და გარიგების დადების უფლებასთან, რომელიც უდგენს ეკონომიკურ აგენტებს (საწარმოებს), რომ უფლება აქვთ გარიგება დადონ

---

<sup>27</sup> Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings (2009/C 45/02) , Official Journal of the European Union, C 45/7, 24.2.2009, para. 78

<sup>28</sup> ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, გვ. 74

<sup>29</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 442

<sup>30</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Edition, Oxford University Press, 2012, გვ. 697

ნებისმიერთან, ვისთანაც სურთ, ხოლო თავიანთი საკუთრება გამოიყენონ საკუთარი შეხედულებების შესაბამისად.<sup>31</sup>

ევროპული კომისია თავის სახელმძღვანელო დოკუმენტში აღსრულების პრიორიტეტების დადგენასთან დაკავშირებით მიწოდებაზე უარის განყოფილებას იწყებს საკითხით, რომ ზოგადად, ნებისმიერ საწარმოს, იქნება ეს დომინანტური მდგომარეობის მქონე თუ არა, უფლება აქვს თავად აირჩიოს სავაჭრო პარტნიორი და თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება.<sup>32</sup> ამგვარად, ამ დოკუმენტში ხდება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის დეკლარირება, რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

კიდევ ერთი საკითხი, რაც მიწოდებაზე უარის განხილვისას წარმოჩინდება არის ის, რომ მიუხედავად იმისა, ზოგჯერ კანონი მოითხოვს თუ არა დომინანტი ფირმისგან მომხმარებლისთვის მიწოდების ვალდებულებას, არსებობს უამრავი გონივრული მიზეზი, თუ რატომ ხდება მიწოდებაზე უარის თქმა. ამის მაგალითად შესაძლოა დასახელდეს შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი ცუდი მოვალეა, ან საწარმოს აქციების დეფიციტი აქვს ან მისი წარმოება ჩაიშალა და სხვა. გარდა ამისა, კიდევ ერთი მოსაზრება, რომ დომინანტი საწარმოს მიწოდებაზე უარმა შესაძლოა ხელი არ შეუწყოს ეკონომიკურ კეთილდღეობას, თავს იჩენს მაშინ, როდესაც კონკურენტებს ანუ ე.წ. “უბილეთო მგზავრებს,” („free riding“<sup>33</sup>) შეუძლიათ ისარგებლონ ინვესტიციებით, რომლებიც ბაზრის სხვა საწარმოთა მიერ არის დამზადებული.<sup>34</sup>

---

<sup>31</sup> ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, გვ. 74

<sup>32</sup> Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, para. 75

<sup>33</sup> შედარებისთვის იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, 2019, გვ. 149 და Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, გვ. 21

<sup>34</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Edition, Oxford University Press, 2012, გვ. 697

TFEU-ის 102-ე მუხლის საკამათო თემას წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, რომ დომინანტი საწარმოს სანქცირება მიწოდებაზე უარის გამო შესაძლოა ხელს უშლიდეს, როგორც ხელშეკრულების თავისუფლებას, ასევე საკუთრების ძირითად უფლებას.<sup>35</sup>

ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოვლინდა შემთხვევა, კერძოდ, საქმეში C-7/97 (Oscar Bronner GmbH v Mediaprint Zeitungs-und Zeitschriftenverlag, [1998] ECR I-7791), სადაც გენერალურ ადვოკატმა ჯეიკობსმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ: “უფლება აირჩიო სავაჭრო პარტნიორი და თავისუფლად განკარგო საკუთარი ქონება არის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი და ამ უფლებების დარღვევა მოითხოვს საკმაოდ ფრთხილ დასაბუთებას”.<sup>36</sup>

რაც შეეხება ქართულ კონკურენციისამართლებრივ პრაქტიკას, ამ საკითხის ირგვლივ საინტერესოა კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 19.02.2020 წლის N 04/44 ბრძანება, სადაც განხილულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა მიწოდებაზე უარის გზით. სააგენტომ საქმის განხილვისას განსაზღვრა მიწოდებაზე უარის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნევისათვის აუცილებელი წინაპირობები, როგორცაა: „ა) აუცილებელი საქონელი/მომსახურება; ბ) მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით; გ) ზიანი; დ) ობიექტური გამართლების შეუძლებლობა“. ამასთან, სააგენტომ დაადგინა, რომ თუ ეს ჩამოთვლილი წინაპირობები სრულად დაკმაყოფილდება, დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედება შეფასდება, როგორც მიწოდებაზე უარის გზით ბაზრის შეზღუდვა. ეს ყოველივე კი ჯდება „კონკურენციის შესახებ“

---

<sup>35</sup> Brouwer Onno W. „An Improved Framework for Refusal to Supply Cases“, Global Competition Law Centre, Second Annual Conference, Brussels, 17 June 2005 , გვ. 1

<sup>36</sup> იქვე სქოლიოში ( N1)

საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ აკრძალვებში და წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან.<sup>37</sup>

აღსანიშნავია, რომ დომინანტური მდგომარეობის ქონა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ სახეზე გვაქვს კონკურენციის პროცესში არასწორი ჩარევა, მათ შორის: გარიგებაზე ან გაყიდვაზე დაუსაბუთებელი უარი, ეს წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როდესაც დომინანტი ეკონომიკური აგენტი უარს ამბობს მიჰყიდოს ნედლეული ან სხვა პროდუქტი თავის კონკურენტ კომპანიას და სწორედ ასეთი ქმედებით ხელს უშლის კონკურენტი კომპანიის ბაზარზე შესვლას, ამაში გამოიხატება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.<sup>38</sup>

ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მიწოდებაზე უართან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გზამკვლევ დოკუმენტში მითითებულია, რომ მიწოდებაზე უარს ახასიათებს ორი დონის: ზედა და ქვედა დონის ბაზრის არსებობა. ასეთ დროს, საჭირო პროდუქციის მიწოდებაზე უარი მომდინარეობს ზედა დონის ბაზარზე მყოფი დომინანტის მხრიდან, რომელიც ამ ქმედებას მიმართავს ქვედა დონის ბაზარზე არსებული კონკურენტისკენ, რითაც არღვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს და აქედან გამომდინარე იგი სრულად ან მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას.<sup>39</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების შედეგად ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, ქართული კონკურენციის სამართლის დარგი იზიარებს

---

<sup>37</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020, გვ. 71-72

<sup>38</sup> ასანიძე ნ. „დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უარყოფითი გავლენა კონკურენციის პოლიტიკაზე“, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, შრომების კრებული, თბილისი, 17-18 ნოემბერი 2017, გვ. 27

<sup>39</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, თბილისი, 2017, გვ. 23

ევროპულ მიდგომებს და პრაქტიკას, რისი დამკვიდრებისკენაც არის მიმართული, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო თავის გზამკვლევ დოკუმენტში „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების“<sup>40</sup> შესახებ, გვთავაზობს მიწოდებაზე უარის მაგალითებს, კერძოდ:

- ✓ „ზედა დონის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი უარს ამბობს იმ პროდუქტის მიწოდებაზე, რომელიც აუცილებელია ქვედა დონის ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი პროდუქტის საწარმოებლად (საქმე 6/73 (Commercial Solvents v Commission)) .
- ✓ ზედა დონის ბაზარზე მყოფი პირი შესაძლოა ფლობდეს ქვედა დონის ბაზარზე ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას და დაშვებაზე უარს ეუბნებოდეს ქვედა დონის ბაზრის მონაწილეებს (საქმე IV/34.689 (Sea Continental Ltd/Stena Sealink)) .
- ✓ უარი შეიძლება მოიცავდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების ლიცენზირებაზე უარს, მაშინ როდესაც მსგავსი ლიცენზირება აუცილებელია ბაზარზე ფუნქციონირებისათვის (საქმეები C-241/91 etc. (Magill) და სხვ.“<sup>41</sup>

დასასრულ, შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროპული კომისიის აღსრულების პრიორიტეტების სახელმძღვანელო დოკუმენტში, რომლითაც კომისია ხელმძღვანელობს და სწორედ მასზე დაყრდნობით განსაზღვრავს ჩარევის პრიორიტეტებს, ამისათვის იგი იყენებს ტესტს სამი კუმულაციური პირობით, რომლის ელემენტები შემდეგნაირია:<sup>42</sup>

---

<sup>40</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“ , თბილისი, 2017, გვ. 23

<sup>41</sup> იქვე

<sup>42</sup> ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, გვ. 77

(ა) დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიწოდებაზე უარი ეხება ისეთ პროდუქციას/მომსახურებას, რაც წარმოადგენს ობიექტურად აუცილებელს სხვათათვის, რათა მათ შეძლონ კონკურენციის გაწევა პერიფერიულ ბაზარზე;

(ბ) მიწოდებაზე უარის შედეგად არის შესაძლებელი კონკურენციის აღმოფხვრა პერიფერიულ ბაზარზე;

(გ) მიწოდებაზე უარი შესაძლოა საზიანო იყოს მომხმარებლებისთვის.<sup>43</sup>

დასასრულ, მიწოდებაზე უარის, როგორც კონკურენციის შემზღვეველი ქმედების ამსახველი ინსტიტუტი, ვლინდება ზემოაღნიშნულ სათანადო გარემოებების ერთობლივად არსებობისას.

### 1.3. მიწოდებაზე უარის განმსაზღვრელი ელემენტები

#### 1.3.1 აუცილებელი საქონელი/მომსახურება

აუცილებელი საქონლის/მომსახურების ელემენტი წარმოადგენს მიწოდებაზე უარის განმსაზღვრელ კომპონენტს და იურიდიულ ლიტერატურაში იგი ხშირად მოიხსენიება, როგორც ე.წ. „არსებითი საშუალებების“ დოქტრინა. ამასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული დაპირისპირება, რაც დაკავშირებულია მიწოდებაზე უარის სიტუაციასთან. „არსებითი საშუალება“ ნიშნავს ინფრასტრუქტურის ნაწილს ან მნიშვნელოვან ნედლეულს: მილსადენი, სარკინიგზო ლიანდაგი, პორტი, მიწოდების მომსახურება, სადისტრიბუციო ქსელი და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საშუალება არის ის, რაც არსებითია საწარმოსთვის, რომ შეძლოს ოპერირება და განახორციელოს ბიზნეს საქმიანობა. რა ხდება მაშინ, როდესაც დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმო ფლობს ან აკონტროლებს არსებით

---

<sup>43</sup> იქვე

საშუალებებს, რაზეც მის რომელიმე კონკურენტს აქვს სურვილი მოიპოვოს წვდომა, რათა შეძლოს საქონლის გაყიდვა ან მომსახურების გაწევა. აღნიშნული საკითხი წარმოიქმნება ისეთ სიტუაციაში, სადაც ასეთი წვდომის მინიჭებაზე უარმა შეიძლება გამოიწვიოს TFEU-ის 102-ე მუხლის დარღვევა იმის საფუძველზე, რომ უარი ნიშნავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.<sup>44</sup>

„არსებითი საშუალებების“ დოქტრინა მოიცავს ფლობას იმ საშუალებისა, რაც ზოგადად, არ არის ადვილად განმეორებადი, ხელშესახები, რომლის გარეშეც დომინანტის კონკურენტებს არ შეუძლიათ თავიანთი მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევა, მფლობელმა უნდა გახადოს ეს საშუალება სხვებისთვის ხელმისაწვდომი. აღნიშნული კონცეფცია აშშ-დან არის ნასესხები და ევროპულ კონკურენციის სამართალში გამოიყენება TFEU-ის 102-ე მუხლის კონტექსტში.<sup>45</sup>

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, პრეცედენტული სამართლის გაანალიზების კვალდაკვალ, აისახა ე.წ. „არსებითი საშუალებების“ ამერიკული დოქტრინა, რაც გულისხმობს, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოებმა, რომლებიც ფლობენ ისეთ საშუალებებს, რომლებიც არსებითია გამოსაყენებლად იმ კონკურენტი საწარმოთათვის, რომლებიც შესაბამის საქმიანობას ახორციელებენ ბაზარზე, ნება უნდა დართონ კონკურენტებს ამ არსებით საშუალებათა გამოყენებაზე. ეს პრინციპი ამკვიდრებს მიდგომას, რომ იმისათვის, რომ შესაბამისი კონკურენცია არსებობდეს საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, არსებითი საშუალებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი მფლობელი დომინანტი საწარმოების მიერ.<sup>46</sup>

---

<sup>44</sup> Dabbah M.M. „European Union competition law; Module B: Abuse of a dominant position“, Revised edition, University of London 2012, გვ. 33

<sup>45</sup> OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996, გვ. 220

<sup>46</sup> გაბრიჩიძე გ. , ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა , თბილისი, 2012, გვ. 251

ევროპული კომისიის მიერ განხილულ საქმეებში „არსებითი საშუალებების“ ცნება გვხვდება B&I/Sealink, Holyhead<sup>47</sup> საქმეში, რომლის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობს შემდეგში: Sealink-ის, პორტ ჰოლიჰედის (Holyhead) ოპერატორმა კომპანიამ უარი უთხრა დაშვებაზე კონკურენტს B&I მისთვის საჭირო საბორნე ძირითად საშუალებებზე ანუ ეს იყო ამ ნავსადგურის სპეციფიკური ობიექტი და ირლანდიის მიმართულებით საზღვაო სატრანსპორტო მარშრუტი ამგვარად უნდა განხორციელებულიყო.<sup>48</sup> აღნიშნულ საქმეში, კომისიამ განმარტა, რომ პორტის ნავსადგურის სპეციფიკური ობიექტების ძირითად საშუალებებთან დაშვებაზე უარით, კომპანია B&I-ს აღეკვეთა შესაძლებლობა, რათა გაეწია საბორნე მომსახურება ჰოლიჰედის პორტსა და ირლანდიას შორის, რამაც შედეგად გამოიწვია B&I-თვის ამ მარშრუტით დადგენილ მომსახურების ბაზარზე მონაწილეობის უფლების შეზღუდვა.<sup>49</sup>

ყველაზე რეზონანსული საქმე, სადაც საუბარია „არსებითი საშუალებების“ დოქტრინის გამოყენებაზე არის Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprint Zeitungscase<sup>50</sup>, რომელშიც მოსარჩელე ოსკარ ბრონერი აცხადებდა, რომ მისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას ფლობდა მხოლოდ მოპასუხე Mediaprint, რაც მისი აზრით, განიხილებოდა, როგორც "არსებითი საშუალება", შესაბამისად Mediaprint-ის უარი მიწოდებაზე, ანუ ამ სერვისით სარგებლობაზე წარმოადგენდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება TFEU-ის 102-ე მუხლს. საქმის განხილვისას ავსტრიულმა სასამართლომ მიმართა ECJ-ს, რომლის პასუხი იყო, რომ ასეთ შემთვევაში ბოროტად გამოყენებას ადგილი არ

---

<sup>47</sup> იხ. Case 94/19/EC: Commission Decision of 21 December 1993 relating to a proceeding pursuant to Article 86 of the EC Treaty (IV/34.689 - Sea Containers v. Stena Sealink - Interim measures), OJ L 15,1994.

<sup>48</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, გვ. 42

<sup>49</sup> იქვე

<sup>50</sup> იხ. Case C-7/97, *Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprint Zeitungs- und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG, Mediaprint Zeitungsvertriebsgesellschaft mbH & Co. KG and Mediaprint Anzeigengesellschaft mbH & Co. KG* [1998], ECR. I-7791, ECLI:EU:C:1998:569

ჰქონდა. ECJ მიიჩნევდა, რომ ოსკარ ბრონერის მიერ Mediaprint-ის ინფრასტრუქტურაზე წვდომა არ იყო შეუცვლელი (ე.ი. აბსოლუტურად აუცილებელი) ამ გარემოებებში და მიუთითა, რომ წვდომის ვალდებულების დადგენისათვის, სულ მცირე, აუცილებელი იყო, დასაბუთება იმ ფაქტისა, რომ შეიქმნება მეორე სექმა, რომლითაც მოხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოველდღიური გაზეთების გავრცელება და ეს ეკონომიკურად მომგებიანი ვერ იქნება მოსარჩელისთვის.<sup>51</sup>

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომ დომინანტი საწარმოს იძულება მიწოდებაზე, შესაძლოა არ იყოს ხელის შემწყობი ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, თუ ეს ნიშნავს, რომ ე.წ. "უბილეთო მგზავრებს" ("free riding"<sup>52</sup>) შეუძლიათ ისარგებლონ ინვესტიციებით, რომლებიც დამზადებულია ბაზრის სხვა საწარმოთა მიერ. ოსკარ ბრონერის საქმეში გენერალურმა ადვოკატმა ჯეიკობსმა თავის მოსაზრებაში ძალიან მკაფიოდ მიუთითა სასამართლოს, რომ კონკურენტების დაშვება „არსებითი საშუალებების“ ინფრასტრუქტურაზე, რომლის შედეგადაც ისინი ბაზარზე კონკურენტუნარიანები გახდებიან, მართალია, ამ გზით ისინი შეძლებენ ბაზარზე შესვლას მოკლევადიან პერიოდში, თუმცა საბოლოო ჯამში, ამან შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი, თუ ამას შედეგად მოჰყვება ამ საშუალებების შექმნისთვის საჭირო ინვესტიციების დაკარგვა.<sup>53</sup>

ამგვარად, გენერალურმა ადვოკატმა ამ საქმეში ასევე აღნიშნა, რომ თუ არსებითი საშუალების მქონე საწარმოს არ მისცემ საშუალებას, რომ მან ისინი საკუთარი სარგებლობისთვის გამოიყენოს და დაავალდებულებ მას, რომ მესამე პირებს წვდომის უფლება მიანიჭოს, ამით დომინანტს დაეკარგება სტიმული, რომ სათანადო ინვესტიცია განახორციელოს ამ ეფექტური არსებითი საშუალებების შექმნისთვის.

---

<sup>51</sup> Dabbah M.M. „European Union competition law; Module B: Abuse of a dominant position“, Revised edition, University of London 2012, გვ. 33

<sup>52</sup> შედარებისთვის იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, 2019, გვ. 149 და Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, გვ. 21

<sup>53</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Edition, Oxford University Press, 2012, გვ. 697

დასასრულ, იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ TFEU-ის 102-ე მუხლის ძირითადი მიზანია კონკურენციის დამახინჯების თავიდან აცილება და არა კონკრეტული კონკურენტების პოზიციის დაცვა.<sup>54</sup>

აღსანიშნავია, რომ ეს საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ECJ-მ მასში გამოიყენა მიწოდებაზე უარის დადგენისთვის ტესტი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრისთვის. კერძოდ, ECJ-მ აღნიშნა და ჩამოაყალიბა, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები, რათა დადგინდეს გვაქვს თუ არა სახეზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მიწოდებაზე უარით: (ა) მიწოდებაზე უარით ხდება კონკურენციის აღმოფხვრა პერიფერიულ ბაზარზე; (ბ) მიწოდებაზე უარს არ აქვს ობიექტური გამართლება; (გ) სამომხმარებლო საქმიანობა ვერ განხორციელდება დაშვებების გარეშე; (დ) პოტენციური ან არსებული აქტივების ჩამნაცვლებელი სახეზე არ გვაქვს.<sup>55</sup>

ბრონერის საქმის შემდგომ მიწოდებაზე უარის შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდა, როგორც ე.წ. „ბრონერის ტესტი“, რაც გულისხმობს შემდეგს:

- განსაზღვრება იმის შესახებ, რომ „არსებითი საშუალებების“ დოქტრინის გამოყენება არ გამორიცხავს TFEU-ის 102-ე მუხლის სათანადო ანალიზს და კვლავ საჭიროებს გარკვეული კონკურენციისაწინააღმდეგო ქცევის არსებობის დადგენას;
- იმის აღიარება, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოს მიწოდებაზე უარის მთავარი საზრუნავი არის ის, რომ ასეთი უარი მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს თავისი საბაზრო ძალაუფლება სხვა დაკავშირებულ ბაზარზე;
- ეკონომიკური დასაბუთების აღიარება ზედა და ქვედა დონის ბაზრის აუცილებელი არსებობის შესახებ, მიწოდებაზე უარის შემთხვევაში;

---

<sup>54</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Edition, Oxford University Press, 2012, გვ. 697

<sup>55</sup> ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018; გვ. 76

- იმის აღიარება, რომ კონკურენციის სამართლის ჩარევა შეიძლება უკვე მიზანშეწონილი იყოს, როდესაც გარიგებაზე უარი აღმოფხვრის ყველა ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე;
- იმის აღიარება, რომ გარიგებაზე უარი შეიძლება იყოს ბოროტად გამოყენება, როდესაც დომინანტი უარს განაცხადებს მიწოდებაზე და საწარმო, რომელიც ითხოვს ბაზარზე წვდომას, თითოეული მათგანი ამჟამად არიან დაკავშირებულ ბაზარზე ან ამ ბაზარზე შემოვლენ უახლოეს მომავალში.<sup>56</sup>

არსებითი საშუალებების დოქტრინა, რომელიც გარიგებაზე უარის შესახებ პრეცედენტული სამართლის შემადგენელი ნაწილია, გაჩნდა აშშ-ში. იურიდიული ლიტერატურაში საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებენ ამ მოძღვრებას და მიიჩნევენ, რომ იგი ზედმეტია და არასათანადოდ არის გააზრებული. ამის მიუხედავად, ის საკმაოდ კარგად არის დამკვიდრებული ევროკავშირის გარიგებაზე უარის შესახებ პრეცედენტულ სამართალში, რაც მოითხოვს, რომ შესაბამისი პროდუქტი იყოს „შეუცვლელი“.<sup>57</sup>

ამგვარად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ „არსებითი საშუალებების“ დოქტრინასთან მიმართებით არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა, თუმცა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა აქტიურად განიხილავს მის მნიშვნელობას მიწოდებაზე/გარიგების დადებაზე უარის საქმეებთან მიმართებით. ქართული მიდგომაც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მსგავსია ევროპული მიდგომისა და შესაბამისად კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს, მის მიერ განხილულ საქმეში ჩამოყალიბებული აქვს, რომ მიწოდებაზე უარის გზით დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დროს, დომინანტის უარი მიემართება ისეთი საქონლის ან მომსახურების მიწოდებას, რაც აუცილებელია

<sup>56</sup> Brouwer Onno W. „An Improved Framework for Refusal to Supply Cases „, Global Competition Law Centre, Second Annual Conference, Brussels, 17 June 2005, გვ. 13

<sup>57</sup> OECD’s Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 23

მიწოდების მსურველი ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე ოპერირების დაწყებისა თუ გაგრძელების შესაძლებლობისათვის და ასეთი შემთხვევები შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ურთიერთობებში.<sup>58</sup>

ასევე, სააგენტო განმარტებას აკეთებს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მიწოდების მიზნებისთვის აუცილებელ საქონლად/მომსახურებად, ასეთი კი შესაძლოა იყოს პროდუქტი, რომელიც ესაჭიროება ეკონომიკურ აგენტს შესაბამის ბაზარზე შესასვლელად ან თუნდაც სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად და ამავე დროს ამ პროდუქტის გონივრული ჩანაცვლების (დუბლირების) შესაძლებლობა გამორიცხული უნდა იყოს.<sup>59</sup>

ამგვარად, ქართული და ევროპული კონკურენციის სამართლებრივი მიდგომა მსგავსებას ავლენს „არსებითი საშუალებების“ დოქტრინისადმი. თითოეულ საქმეში იკვეთება მის ეფექტურობაზე ხაზგასმა.

### 1.3.2. მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით

მიწოდებაზე უარის კომპონენტების განხილვისას, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით, რაც გულისხმობს, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის/საწარმოს მიერ პირდაპირ ან ირიბად გამოხატულია ნება, რაც ვლინდება მის მიერ კონკურენტი ეკონომიკური აგენტის არსებით საშუალებებზე არდაშვებაში, საბოლოო ჯამში შედეგობრივად იწვევს მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარების აღკვეთას.<sup>60</sup>

აღსანიშნავია, რომ მიწოდებაზე უარი ვიწრო გაგებით ვლინდება სხვადასხვაგვარად, მაგალითად, ეს შესაძლოა იყოს: ხელშეკრულების დადებაზე პირდაპირი უარი,

---

<sup>58</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020 , გვ. 72

<sup>59</sup> იქვე, გვ. 73

<sup>60</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44, 19.02.2020, გვ. 75

კონსტრუქციული უარი, გაჭიანურების ტაქტიკა, არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა და სხვა.<sup>61</sup>

საკითხის ნათლად წარმოჩენისთვის, მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი, კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები აღსრულებისას პრიორიტეტების დადგენასთან დაკავშირებით TFEU-ის 102-ე მუხლის შესახებ საუბრობს, მიწოდებაზე უარის განსაზღვრისთვის, კომისია არ მიიჩნევს საჭიროდ რომ უარი გვექონდეს უკვე გაყიდულ პროდუქტზე, საკმარისია არსებობდეს მოთხოვნა პოტენციური მყიდველებისგან და შესაძლებელი იყოს განსაზღვრა იმისა, რომ პოტენციური ბაზარი არის რისკის ქვეშ. ანალოგიურად, არ არის აუცილებელი სახეზე იყოს ფაქტობრივი უარი, ასეთ შემთხვევაში "კონსტრუქციული უარიც" საკმარისია. მაგალითად, კონსტრუქციული უარი შესაძლოა გვექონდეს, როდესაც მიწოდების სანაცვლოდ ხდება მისი დაუსაბუთებლად გადადება ან სხვაგვარად შეყოვნება ან სანაცვლოდ მოითხოვს არაგონივრული პირობების დაწესებას.<sup>62</sup> სწორედ კონსტრუქციული უარის ერთ-ერთი მაგალითია მიწოდებაზე უარის დროს გაჭიანურების ტაქტიკა.<sup>63</sup>

გაჭიანურების ტაქტიკა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც დომინანტი ეკონომიკური აგენტი აფერხებს მოლაპარაკების პროცესს, აყოვნებს მის დაწყებას, რის შედეგადაც ხელშეკრულების დადება დროში ჭიანურდება, ეს კი განაპირობებს გარემოებას, რომ კონკურენტის მოთხოვნას ბაზარზე დაშვების თაობაზე უპირისპირდება აუხსნელი და დაუსაბუთებელი დაყოვნება. ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტას, იგი მიგვითითებს უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებაზე. როგორც კი, ზემოხსენებული ან სხვა მათი მსგავსი

---

<sup>61</sup> იქვე

<sup>62</sup> Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings (2009/C 45/02), Official Journal of the European Union, C 45/7, 24.2.2009, para. 79

<sup>63</sup> Incardona R. "Modernisation of Article 82 EC and Refusal to supply: any real change in sight? European Competition Journal, December 2006, გვ. 346

შემთხვევები გამოიკვეთება ერთობლივად ან თუნდაც ცალ-ცალკე, უპირობოა, რომ საუბარია სწორედ მიწოდებაზე უარზე ვიწრო გაგებით.<sup>64</sup>

### 1.3.3. ზიანი

მიწოდებაზე უარის კონცეპტუალური ჩარჩო ევროპულ სამართალში წლების განმავლობაში ევროპული სასამართლოების არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შედეგად შეიქმნა. აღნიშნული თვალსაზრისით შემუშავებული მიდგომა ითვალისწინებს: პირველ რიგში, საწარმო, რომელიც უარს ამბობს პროდუქტის მიწოდებაზე, უნდა იყოს დომინანტურ მდგომარეობაში; მეორე, რომ ეს უარი უნდა იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის გამორიცხვას ქვედა დონის ბაზარზე და აქედან გამომდინარე მომხმარებელს ხანგრძლივ ზიანს აყენებდეს და მესამე, რომ უარი არ უნდა იყოს ობიექტურად გამართლებული.<sup>65</sup> ამგვარად, მიწოდებაზე უარის განსაზღვრისთვის, ზიანის კომპონენტის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

TFEU-ის 102-ე მუხლი კრძალავს ქმედებას ბაზრიდან განდევნის მიზნით, რომელიც იწვევს რეალურ ან სავარაუდო კონკურენციისაწინააღმდეგო ეფექტს ბაზარზე და რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მომხმარებელს პირდაპირი ან ირიბი გზით. რაც უფრო მეტხანს გაგრძელდება ასეთი ქცევა, მით უფრო მეტი წონა მიეცემა ზოგადად მის რეალურ ეფექტებს. ამასთან, შუალედური მყიდველებისთვის ზიანის მიყენება, სავარაუდოდ, საბოლოო მომხმარებლებსაც ზიანს მიაყენებს. გარდა ამისა, არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ მხედველობაში მიიღება ასევე საშუალო და

---

<sup>64</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020, გვ. 76

<sup>65</sup> Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100; Organisation de Coopération et de Développement Economiques ; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 4

გრძელვადიანი ზიანი, რაც წარმოიშობა ბაზარზე წვდომის შეზღუდვით.<sup>66</sup> (“foreclosure“<sup>67</sup>).

ზოგადი წესის თანახმად, საწარმოებს აქვთ მომხმარებლების თავად არჩევის უფლება, ანუ თავად წყვეტენ თუ ვისთან სურთ გარიგების დადება და ვისთან არა, შესაბამისად იმისათვის, რომ მიწოდებაზე უარი განისაზღვროს, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, საკმაო სიფრთხილეს საჭირო,<sup>68</sup> ვინაიდან გავდივართ სახელშეკრულებო თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპზე, ხოლო თუ საუბარია მისი შეზღუდვის ფარგლებზე, ამ ყოველივეს გააჩნია თავისი წინაპირობები და განსაზღვრებები.

სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებიდან გამომდინარე, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი თავისუფლება ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე:

- ✓ სადაც ასეთი პრაქტიკის შედეგად, კონკურენციის პროცესს, როგორც მთლიანობას, შეიძლება ზიანი მიადგეს ზოგადად მომხმარებლების ან საზოგადოების საზიანოდ, ან
- ✓ სადაც უარის თქმამ კონკრეტული მომხმარებლისთვის შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი ზიანი; <sup>69</sup>

მომხმარებლის ზიანთან მიმართებით, კომისია ასევე მიიჩნევს, რომ მიწოდებაზე უარმა შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, როდესაც ფასი მოწესრიგებულია ზედა დონის შესვლის ბაზარზე, თუმცა ქვედა დონის ბაზარზე არ არის რეგულირებული და დომინანტ საწარმოს, მიწოდებაზე უარის გზით, ქვედა დონის ბაზარზე კონკურენტების გამორიცხვით, ბაზარზე შეუძლია მიიღოს უფრო მეტი მოგება

---

<sup>66</sup> DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, Brussels, December 2005, para. 55, გვ. 18

<sup>67</sup> შედარებისთვის იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ , 2019, გვ. 179 და Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, გვ. 20

<sup>68</sup> Dabbah M.M. ,European Union competition law; Module B: Abuse of a dominant position, Revised edition, University of London 2012, გვ. 31

<sup>69</sup> იქვე

არარეგულირებად ქვედა დონის ბაზარზე, ვიდრე ამას წინააღმდეგ შემთხვევაში გააკეთებდა.<sup>70</sup>

მომხმარებლისთვის ზიანის მაგალითად კომისია განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიწოდებაზე უარის გამო დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტებს წინაღობები წარმოექმნებათ ბაზარზე ინოვაციური საქონლის ან მომსახურების წარსადგენად ან ამის გამო შემდგომი ინოვაცია ჩახშობილია. ამგვარ შედეგზე გავდივართ, როდესაც კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს განსაზღვრული აქვს ისეთი ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების წარმოება, რომელზეც პოტენციურად არსებობს სამომხმარებლო მოთხოვნა ან შეიძლება ვარაუდი გამოითქვას, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს ტექნიკური განვითარება.<sup>71</sup>

რაც შეეხება კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტსა და მომხმარებლის გრძელვადიან ზიანს, გარიგებაზე უარი მხოლოდ მაშინ იქნება უკანონო, თუკი დადგინდება, რომ მას ექნება კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი შესაბამისი გრძელვადიანი ზიანით მომხმარებლისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი კონკურენცია საერთოდ გამოირიცხება ბაზრიდან, არამედ ამით ეფექტური კონკურენცია მნიშვნელოვნად შემცირდება ან აღმოიფხვრება.<sup>72</sup>

ზოგადად, მომხმარებლის ხანგრძლივი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, თუ პროდუქტი, რომელზედაც უარი ეთქვა მომხმარებელს არსებითია იმისთვის, რომ მან შეძლოს ეფექტიანი კონკურენციის გაწევა ქვედა დონის ბაზარზე. ეს ნიშნავს, რომ უარი უნდა იყოს ისეთ პროდუქტზე, რაც წარმოადგენდეს

---

<sup>70</sup> Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009 para 88

<sup>71</sup> მენაბდიშვილი ს. „მიწოდებაზე უარი როგორც დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე“, სამართლებრივი ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N3(67) '20, 2020, გვ. 10

<sup>72</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 204

ობიექტურად შეუცვლელ მასალას კონკურენტებისათვის და არა მხოლოდ განსაკუთრებით შესაფერისსა ან მოსახერხებელს ერთი მათგანისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ უნდა არსებობდეს ეკონომიკურად ეფექტური, ფაქტობრივი ან პოტენციური ალტერნატივა ამ მასალაზე, რომელზედაც უარია.<sup>73</sup>

ევროპული კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ მიწოდებაზე უარმა შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის ზიანი ქვედა დონის ბაზარზე ე.წ. ბაზარზე წვდომის შეზღუდვა. ასეთი უარი ჩვეულებრივ ხელს უშლის ქვედა დონის ბაზრის კონკურენტებს მთლიანად ბაზარზე არსებული მარაგების მოპოვებაში, რითაც აიძულებენ მათ ბაზრიდან გასვლას, ან მხოლოდ შესაძლებლობის მიცემას ისეთი პირობებით, რაც მათ საშუალებას არ მისცემს ეფექტიანი კონკურენცია გაუწიონ დომინანტ საწარმოს.<sup>74</sup>

კიდევ ერთი სცენარი, როდესაც მომხმარებლის ზიანი სახეზეა, არის შემთხვევა, როცა დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმო მიწოდებაზე უარს იყენებს, რათა დასაჯოს ქვედა დონის ბაზარზე არსებული კონკურენტები, რომლებიც ცდილობენ ზედა დონის ბაზარზე შესვლას.<sup>75</sup>

ზიანის კომპონენტთან მიმართებით, შეჯამების სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მომხმარებლის ზიანი შეიძლება ასევე წარმოიშვას იქ, სადაც დომინანტმა ფირმამ კონკურენტებს შეუზღუდა ბაზარზე წვდომა, რაც არის შედეგი მიწოდებაზე უარის, რომ თავიდან აირიდონ ინოვაციური საქონლის ან მომსახურების ბაზარზე შეტანა. მართლაც, ბაზარზე შესვლის ხელმისაწვდომობამ შეიძლება გამოიწვიოს

---

<sup>73</sup> Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100 ; Organisation de Coopération et de Développement Economiques; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 5

<sup>74</sup> იქვე

<sup>75</sup> იქვე

ინიციატივები ქვედა დონის ბაზარზე ინვესტიციისა და ინოვაციებისა, როგორც დომინანტი ფირმის, ისე მისი კონკურენტების მიერ.<sup>76</sup>

ამგვარად, დომინანტი საწარმოს მიერ ბაზრის შეზღუდვა კონკურენტისთვის, მისი არშეშვება ან/და ბარიერების დაწესება საბოლოო ჯამში ზიანის მომტანია არა მხოლოდ მომხმარებლისთვის, არამედ მთლიანად ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობისთვის.

#### 1.3.4. ობიექტური გამართლების შეუძლებლობა

მიწოდებაზე უარის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნევისთვის ყველა ზემოხსენებული წინაპირობები რომც იყოს დაკმაყოფილებული, ბოლო ელემენტი, რაც დომინანტ საწარმოს აძლევს თავის დაცვის საშუალებას, არის ობიექტური გამართლების კრიტერიუმი.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედეგად, ჩამოყალიბდა მიდგომა, რომლის თანახმადაც მტკიცების ტვირთი გადატანილია დომინანტ საწარმოზე, რომელმაც უნდა დაასაბუთოს ის გამამართლებელი გარემოებები, რაც მის ქცევას განაპირობებდა.<sup>77</sup>

ამგვარად, ის ქმედებები, რაც “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლით (იგივე TFEU-ის 102-ე მუხლით) არის განსაზღვრული, როგორც კანონდარღვევა, რაც კონკურენციის შემზღუდველია, შესაძლოა გამართლდეს გარკვეულ წინაპირობათა არსებობისას, თუ ის ჯდება ობიექტური გამართლების შემთხვევათა ჩამონათვალში. ამის მაგალითად შესაძლოა, მივიჩნიოთ ისეთი

---

<sup>76</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 204

<sup>77</sup> იქვე, გვ. 42

წინაპირობები, როგორცაა საწარმოს კომერციული ინტერესების დაცვა, ტექნიკური ან კომერციული შეზღუდვები, ეფექტიანობის გაუმჯობესება ან საჯარო ინტერესი.<sup>78</sup>

აღსანიშნავია, რომ ობიექტური გამართლების შემთხვევათა შემოწმების სტანდარტი ჩამოყალიბდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა შედეგად. შემდგომში ეს სტანდარტი ევროპული კომისიის შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტის შემადგენელ ნაწილად იქცა და დამკვიდრდა მიდგომა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება შესაძლოა გამართლდეს ობიექტური აუცილებლობით ან ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.<sup>79</sup>

ზოგადად რომ მიმოვიხილოთ, არსებობს ორი სახის ობიექტური გამართლების შესაძლო შემთხვევა. ობიექტური გამართლების პირველი ტიპი არის სიტუაცია, სადაც დომინანტ კომპანიას შეუძლია აჩვენოს, რომ სხვაგვარად ბოროტად გამოყენების ქცევა ფაქტობრივად აუცილებელი ქცევაა გარე ობიექტური ფაქტორების საფუძველზე, რომლებშიც მონაწილეობენ მხარეები და განსაკუთრებით გარე დომინანტი კომპანიისთვის ("ობიექტური აუცილებლობის დაცვა"). ობიექტური გამართლების მეორე ტიპია, სადაც დომინანტ კომპანიას შეუძლია წარმოაჩინოს, რომ სხვაგვარად კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევა სინამდვილეში ზიანის შემცირებას ახდენს კონკურენციაზე ("შემხვედრი კონკურენციის დაცვა").<sup>80</sup>

ევროპული კომისიის TFEU-ის 102-ე მუხლის აღსრულების პრიორიტეტების სახელმძღვანელო მითითებაში განსაზღვრულია ობიექტური გამართლების ორი შემთხვევა: ობიექტური აუცილებლობა და ეფექტიანობა.<sup>81</sup>

უფრო დეტალურად რომ მიმოვიხილოთ, ობიექტური აუცილებლობის დაცვის (Objective Necessity Defence) სტანდარტის თანახმად, დომინანტმა კომპანიამ შეიძლება

<sup>78</sup> აკოლავილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 419-420

<sup>79</sup> იქვე, გვ. 420-421

<sup>80</sup> DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses ,, Brussels, December 2005, Para. 78, გვ. 24-25

<sup>81</sup> Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, OJ C 45/7, 24.02.2009, III D ნაწილი "a" და „d" პუნქტები

შედლოს იმის დემონსტრირება, რომ მისი ქცევა ობიექტურად აუცილებელია, მაგალითად, უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის მიზეზების გამო, რაც დაკავშირებულია სადავო პროდუქტის საშიშ ხასიათთან. ეს აუცილებლობა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც ბაზარზე ვრცელდება ზოგადად ყველა საწარმოსათვის. ამის საფუძველზე დომინანტი კომპანიას შეუძლია აჩვენოს, რომ ამ ქცევის გარეშე ბაზარზე ვერ მოხდება ნედლეულის წარმოება ან გავრცელება. სასამართლოები პროდუქტთან მიმართებით მკაცრად იყენებენ მისი შეუცვლელობის პირობას. ეს არ წარმოადგენს დომინანტი კომპანიის ამოცანას, საკუთარი ინიციატივით გადადგას ნაბიჯები იმ პროდუქტის ბაზრიდან გამოსარიცხად, რომლებიც სწორად ან არასწორად, საშიში ან ნაკლებად საშიშია საკუთარზე.<sup>82</sup>

რაც შეეხება ეფექტიანობის დაცვას, დომინანტი კომპანიის მიერ დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

I. რომ ეფექტიანობა მიიღწევა ან სავარაუდოდ მიიღწევა ქცევის შედეგად;

II. რომ ასეთი ქცევა აუცილებელია ამ ეფექტიანობის მისაღწევად;

III. რომ ეფექტიანობა სარგებელს მოუტანს მომხმარებელს;

IV. რომ კონკურენცია, რომელიც ეხება შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს, არ არის აღმოფხვრილი.<sup>83</sup>

თუ ზემოაღნიშნული ოთხივე პირობა შესრულდება, ამგვარი ქცევის შედეგია, ხელი შეუწყოს კონკურენციის პროცესს, კერძოდ, ეს ხდება მომხმარებლის სასიკეთოდ მათთვის უკეთესი პროდუქტისა და ფასების შეთავაზებით, ვიდრე ამას დომინანტი საწარმოს კონკურენტები გააკეთებდნენ.<sup>84</sup>

---

<sup>82</sup> DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, Brussels, December 2005, Para. 80, გვ. 25

<sup>83</sup> DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, Brussels, December 2005, para 84, გვ. 26

<sup>84</sup> იქვე, Para. 80

ობიექტურ გამართლებაზე საუბრისას, ეფექტიანობის შეფასების ჩათვლით, აღსანიშნავია, რომ გარიგებაზე უარი ხშირად ობიექტურად მართლდება წმინდა კომერციული ინტერესების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, უარი არ წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. უამრავი შემთხვევის დასახელებაა შესაძლებელი, როდესაც გარიგებაზე უარი არ წარმოშობს წინააღმდეგობებს. მაგალითად, მომხმარებელი შეიძლება არ ჩაითვალოს საიმედო სავაჭრო პარტნიორად, შესაძლოა მისი ვალის გადახდის შეუსრულებლობის ისტორიის გამო. დომინანტურ საწარმოს შეიძლება გაუჭირდეს ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელსაც აწყდება: შესაძლოა განიცდიდეს ნედლეულის დეფიციტს, წარმოების შესაძლებლობების შეზღუდვას, ან მის წარმოების ან განაწილების შესაძლებლობები შეიძლება ჩაიშალოს.<sup>85</sup>

დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოს გადაწყვეტილება თავად შევიდეს ქვედა დონის ბაზარზე, რომელშიც აქამდე არ შედიოდა, მაშასადამე, არსებითი საშუალების მიწოდებაზე უარი იმ არსებული მომხმარებლისთვის, რომელიც აქტიურია იმავე ქვედა დონის ბაზარზე, არ განიხილება ობიექტურ გამართლებად. ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით „Commercial Solvents“<sup>86</sup>-ის საქმეში დაადგინა, რომ საწარმო, რომელიც იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში ნედლეულის ბაზარზე, მას საშუალებას აძლევს გააკონტროლოს თუ როგორ ხდება მიწოდებული პროდუქციის წარმოების გაგრძელება. შესაბამისად, თუ დომინანტი თავად გადაწყვეტს ამ ნედლეულისგან სათანადო წარმოებას, რითაც აღმოჩნდება კონკურენციაში თავის ყოფილ მომხმარებლებთან, იგი ასეთი ქცევით გამოიწვევს ქვედა დონის ბაზარზე

---

<sup>85</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 205

<sup>86</sup> იხ. Joined cases 6 and 7-73. *Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission of the European Communities*, [1974] ECR 223, ECLI:EU:C:1974:18

კონკურენტის საერთო ბაზრიდან გამორიცხვას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ვეღარ შეძლებს დომინანტისთვის კონკურენციის გაწევას.<sup>87</sup>

ევროპული კომისიის TFEU-ის 102-ე მუხლის აღსრულების პრიორიტეტების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების 89 და 90 პუნქტების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ კომისია გაითვალისწინებს ისეთ პრეტენზიებს, როცა მიწოდებაზე უარი აუცილებელია დომინანტი საწარმოს მიერ ინვესტიციების ადეკვატური დაბრუნების განხორციელებისთვის, რაც საჭიროა მისი ბიზნესის განვითარებისთვის; ასევე, რომ წვდომის მინიჭებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს, როგორც დომინანტი საწარმოს წახალისებაზე ინოვაციების დანერგვასთან დაკავშირებით, რადგან მას გაუჩნდება შინაგანი უკმაყოფილობა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა ჩადოს ინვესტიცია, თუ იგი იძულებული იქნება კონკურენტებს გაუკვალოს გზა. მეორე მხრივ, იგივე შედეგი შესაძლოა გამოიწვიოს ქვედა დონის ბაზრის კონკურენტებისთვის, რადგან საგულისხმოა, რომ მათ შეიძლება ინვესტიციის ჩადებას ე.წ. „უბილეთო მგზავრის“ (“free riding”<sup>88</sup>) პოზიციაზე ყოფნა არჩიონ.<sup>89</sup>

ობიექტური გამართლების შემთხვევებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, ობიექტური გამართლების დადგენის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. საქმის პროცესში კომპანიამ უნდა აჩვენოს, რომ მიწოდებაზე უარი იყო საჭირო ან რაციონალური სულ მცირე რაიმე მიზეზით, ვიდრე კონკურენციისთვის ზიანის მიყენებაა.<sup>90</sup>

---

<sup>87</sup> Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD (2007)100; Organisation de Coopération et de Développement Economiques; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 6

<sup>88</sup> შედარებისთვის იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, 2019, გვ. 149 და Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, გვ. 21

<sup>89</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Edition, Oxford University Press, 2012, გვ. 708

<sup>90</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 42

ევროკავშირის პრაქტიკის პარალელურად, შეგვიძლია განვიხილოთ ქართულ კონკურენციის სამართალში ობიექტური გამართლების მოქმედების სტანდარტი. თუ ევროკავშირის პრეცედენტულ სამართალში ეს წესი შესასრულებლად სავალდებულოა, ქართულ რეალობაში, იგი გამოიყენება, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილი სტანდარტი. მაგალითის სახით, შეგვიძლია მოვიშველიოთ, კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილული ფოთის პორტის საქმე,<sup>91</sup> სადაც ყურადღება გამახვილდა უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის ზრდის კრიტერიუმზე, რომელიც მოპასუხემ წარმოადგინა წარმოების პროცესში. შედეგობრივი თვალსაზრისით, სააგენტოს მიერ არ მოხდა ობიექტური გამართლების არგუმენტების მიღება და საბოლოო ჯამში სადავო ქცევა, კერძოდ, სქემა, რომელიც კონკურენციის შემზღვევლად განიხილებოდა, ასეთად იქნა მიჩნეული.<sup>92</sup>

კიდევ უფრო საინტერესოა, კონკურენციის ეროვნულის სააგენტოს მიერ განხილული საქმე, სადაც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დადასტურდა მიწოდებაზე უარის გზით და ამ გადაწყვეტილებაში სააგენტომ მიმოიხილა ობიექტური გამართლების შესაძლო შემთხვევები. ამ კომპონენტთან მიმართებით, გადაწყვეტილებაში სააგენტომ განავითარა მსჯელობა ობიექტური საჭიროების ტესტის გამოყენებასთან დაკავშირებით და ჩამოაყალიბა, რომ როდესაც ხდება კონკრეტული სადავო ქმედების ობიექტური საჭიროების კუთხით შეფასება, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება დაცვის ღირსი ლეგიტიმური მიზანი (“legitimate objective”), რომლის მიღწევაც სურს დომინანტს სადავო ქმედებით, შემდგომ უნდა შეფასდეს რამდენად თანაზომიერია ის ქმედება (სადავო ქმედება), რითაც ხდება დომინანტის მიერ კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. იმისათვის რომ დადგინდეს, გვაქვს თუ არა თანაზომიერი ქმედება, საჭიროა, შეფასდეს გამოსადეგობა და აუცილებლობა დომინანტის მიერ შერჩეული საშუალებისა(სადავო ქმედება) კონკრეტული მიზნის მისაღწევად. შემდგომ

---

<sup>91</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/91, 21.04.2017

<sup>92</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 421

განისაზღვრება შერჩეული გზისა და მისაღწევი მიზნის პროპორციულობა, რაც დგინდება მისაღწევ მიზანსა და კონკრეტულად არჩეულ საშუალებას შორის არსებული ბალანსის შეფასებით.<sup>93</sup>

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული კონკურენციის სამართალი იზიარებს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკას და ქართულ რეალობაშიც ინერგება ეს მიდგომები, შესაბამისად გარდა ობიექტური საჭიროების ტესტისა, სააგენტომ მიმოიხილა ასევე ეფექტიანობის ტესტი, რაც გულისხმობს კონკურენციისსაწინააღმდეგო ქმედების ობიექტურ გამართლებას, თუ ეს დარღვევა იწვევს საბოლოო ჯამში ეფექტიანობის ზრდას, რაც მომხმარებლისთვის მომგებიანია.

94

დასასრულ, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ობიექტური გამართლების კრიტერიუმი ძალზე მნიშვნელოვანია მიწოდებაზე უარის კონკურენციისამართლებრივ პრაქტიკაში, ვინაიდან იგი დომინანტ კომპანიას სულ სხვა რეალობის წინაშე აყენებს და კანონსაწინააღმდეგო ქმედების საპირწონედ სთავაზობს სათანადო არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიების შესაძლებლობას, რომ მის მიერ განხორციელებული ქცევა გამართლებადი იყოს და კანონის ჩარჩოებში მოექცეს.

## თავი II. კონტრაქტების იძულება - მიწოდებაზე უარის სამართლებრივ შედეგი, თუ ალტერნატიული მოწესრიგება სსკ-ში

აღნიშნულ თავში მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს კონტრაქტების იძულებისა და მიწოდებაზე უარის მიზნობრივი და ფუნქციური მსგავსება, რათა წარმოჩინდეს ის პრობლემური ნიუანსები, რაც სამოქალაქოსამართლებრივ მოწესრიგებას ახლავს თან,

<sup>93</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020, გვ. 84

<sup>94</sup> იქვე, გვ. 113

კერძოდ იგი გვთავაზობს ხელშეკრულების დადების ვალდებულების ალტერნატიულ მოწესრიგებას, თუმცა ვლინდება, როგორც არასრული ალტერნატივა, გამომდინარე იქედან, რომ იგი შევსებას საჭიროებს კონკურენციის სამართლის დარგიდან.

ამ თავში გაანალიზდება კონტრაქტების იძულება, როგორც მიწოდებაზე უარის სამართლებრივი შედეგი, ამასთან კონკურენციის სამართლებრივი კუთხით გამოიკვეთება მიწოდებაზე უარის მოწესრიგების ეფექტიანობა და გამოსადეგობა.

## 2.1. სახელშეკრულებო თავისუფლების კონკურენციის სამართლებრივი საზღვრები

სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველას აქვს უფლება თავისი სურვილისამებრ გადაწყვიტოს, დადოს თუ არ დადოს გარიგება მასთან, ვისთანაც სურს. ეს კონცეფცია დამკვიდრებულია ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სამართალში და ამგვარად ის გავლენას ახდენს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაზე კონკურენციის სამართალშიც. არსებობს გამონაკლისი ძირითადი წესიდან, თუმცა ისინი უნდა განიმარტოს შეზღუდულად.<sup>95</sup>

რაც შეეხება საქართველოს, სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებულია, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, ასევე ხელშეკრულების თავისუფლებისათვის თანმდევი ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორცაა კონტრაქტების იძულება. იგი ძირითადად ეფუძნება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას და ამ ფარგლებში დაწესებულია შეზღუდვა, რაც საერთო ჯამში ემსახურება სამართლის მთლიანი სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი სფეროები, როგორცაა ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაცია და ა.შ, რაც ყოფითი ცხოვრების გარდაუვალი ნაწილია. ხშირად კონტინენტური სამართლის მრავალ ქვეყანაში ისინი დამკვიდრებულია, როგორც ქცევის ზოგადი წესი. ცალკეულ შემთხვევაში პრაქტიკის

---

<sup>95</sup> Lidgard H.H. “Refusal to Supply or to License“, 2010, გვ. 2

განვითარებამ გამოიწვია კონტრაპირების იძულების საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ამ მხრივ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხელშეკრულების დადების ვალდებულების წესს.<sup>96</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის კონსტიტუციურსამართლებრივ დონეზე განხილვისას, იგი გარკვეულწილად გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლშია მოწესრიგებული. რაც შეეხება მის კერძოსამართლებრივ განსაზღვრებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით: „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. სწორედ ეს მუხლი წარმოადგენს მხარეთა კერძო ავტონომის პრინციპის გამოვლინებას.<sup>97</sup> უფრო დეტალურად, საქართველოს მაგალითის განხილვისას, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი კანონით არის განმტკიცებული. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილით: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი“.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის აბსოლუტური და გარკვეული საკანონმდებლო დანაწესის არსებობისას გააჩნია შეზღუდვის ფარგლები. ერთ-ერთი ასეთი გამოვლინებაა კონტრაპირების იძულება, რაც დაკავშირებულია დომინატური მდგომარეობის მქონე საწარმოსთვის დაწესებულ გარკვეულ ვალდებულებასთან.

---

<sup>96</sup> იხ. ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 36

<sup>97</sup> გელაშვილი ი. ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 55 , ველი 1

სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც პირი სარგებლობს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობით, მისი სახელშეკრულებო თავისუფლება იზღუდება იმგვარად, რომ მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ეს ემსახურება ე.წ „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვას, რათა ის არ ჩავარდეს გამოუვალ მდგომარეობაში.<sup>98</sup> სწორედ, ამასთან მიმართებით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო ბრუნვის სუსტი მხარის ინტერესების დამცავი ნორმები უხვად მოგვეპოვება სამოქალაქო კოდექსში, რაც სათანადო აუცილებლობისას, განაპირობებს სახელშეკრულებო სამართლიანობის აღდგენას და აქედან გამომდინარე იდენტურობას ავლენს დამკვიდრებულ კონსტიტუციურ ღირებულებებთან.<sup>99</sup>

სსკ-ის 319-ე მუხლი საფუძველია სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ პრინციპის გატარებისა, რომ ის ქმედებები, რომლებიც არ არის კანონით აკრძალული ან გაუთვალისწინებელი, მათი თავისუფლება მოქმედია მანამ, სანამ იგი არ გახდება სხვათა უფლებების შელახვის საფუძველი. თავისუფლების ამგვარი ცნება ეფუძნება სწორედ კერძო ავტონომიისა და პირთა თანასწორობის პრინციპს, რომლის თანახმადაც პირს შეუძლია იმოქმედოს თავისუფლად, სანამ არ გადაიკვეთება სხვა ინდივიდის თავისუფლებასთან.<sup>100</sup>

კონტრაქტების იძულების ინსტიტუტისთვის დამახასიათებელია ორი უმთავრესი კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისთვის თანმდევი პრინციპები, როგორცაა:

---

<sup>98</sup> გუგუტიშვილი მ. “სახელშეკრულებო თავისუფლება და მისი საზღვრები ქართულ კერძო სამართალში”; სამეცნიერო ჟურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეექვსე ნომერი, დეკემბერი, 2016, გვ. 28-29

<sup>99</sup>ლაკერბაია თ. , ზაალიშვილი ვ. , ზოიძე თ. , მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), IBSU ; თბილისი, 2018, გვ. 44

<sup>100</sup> ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 67

კეთილსინდისიერებისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რაც ამ უკანასკნელს კერძო ავტონომიის ფარგლებში აქცევს.<sup>101</sup>

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეა და მისი უნივერსალურობა მის სამართლიანობასთან თანაარსებობაში ვლინდება.

ამგვარად, კეთილსინდისიერების პრინციპი პირის მოქმედებას სამართლიანობის ჭრილში განიხილავს. იგი წარმოადგენს ინდივიდის თავისუფლების ერთგვარ შეზღუდვას, ამ დროს პირი გარკვეულწილად სამართლიანსა და უსამართლოს შორის გამიჯვნას კეთილსინდისიერად ახდენს და თან ისე, რომ მის ქცევას უსაბამებს სამართლიანობის კრიტერიუმს. ამასთან, მისი აღქმა სამართლიან ქცევასთან მიმართებით ვლინდება იმგვარად, როგორც ამას მესამე მიუკერძოებელი პირი ანუ ობიექტური დამკვირვებელი შეაფასებდა. ზუსტად კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მოქმედების თავისუფლების მეშვეობით განისაზღვრება სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმგვარად, რომ ამან თავად ამ პირის ინტერესები არათანაზომიერად არ შეზღუდოს.<sup>102</sup>

ხოლო, რაც შეეხება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, კონტრაქტების იძულებისას სამართლებრივი ურთიერთობების კანონიერების განსაზღვრის უპირველეს საფუძვლად სწორედ მხარეთა თანასწორობა გვევლინება.<sup>103</sup>

ამგვარად, დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოს/ეკონომიკური აგენტის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები კონკრეტდება კონტრაქტების იძულების ინსტიტუტით. საქმიანობის იმ სფეროში, სადაც იგი დომინანტია, ვალდებულება აქვს დადოს ხელშეკრულება და თანაც უდიდესი მნიშვნელობის

---

<sup>101</sup> ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 168

<sup>102</sup> კერესელიძე დ. , კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 83

<sup>103</sup> ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 169

მქონეა, რომ ეს სახელშეკრულებო პირობები იყოს სამართლიანი.<sup>104</sup> კონტრაქტების იძულების სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტი ენათესავება მიწოდებაზე უარის კონკურენციისამართლებრივ ინსტიტუტის სამართლებრივ შედეგს, რადგან დარღვევის აღმოფხვრისთვის, ისიც ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. უფრო დეტალურად, კონკრეტული საქმეები მიმოხილული იქნება ქვემო თავში, სადაც ნათლად გამოჩნდება ამ ორი ინსტიტუტის მიზნობრივი და ფუნქციური მსგავსება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სამართალი თავისი განმარტებით მუდმივად ეწინააღმდეგება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს. ამ საკითხის სიმწვავე განსაკუთრებით გამოიკვეთა, ევროპული მართლმასჯულების სასამართლოს მიერ განხილულ Oscar Bronner-ის<sup>105</sup> საქმეში, სადაც ECJ-ს მიმართეს კითხვით, რაც ეხებოდა ავსტრიული გაზეთის მიერ კონკურენტის დაშვებაზე უარს, მიწოდებას ქვეყნის მასშტაბით. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის გაანალიზებით, გენერალურმა ადვოკატმა ჯეიკობსმა დაადგინა, რომ თავისუფალი ვაჭრობის არსებით ელემენტს წარმოადგენს სახელშეკრულებო თავისუფლება, აქედან გამომდინარე კონკურენციის პოლიტიკის განსაზღვრისას საჭიროა სიფრთხილე და ბალანსის დაჭერა იმგვარად, რომ არ მოხდეს ამ თავისუფლების უგულებელყოფა.<sup>106</sup>

დასასრულ, სახელშეკრულებო თავისუფლების კონკურენციისამართლებრივი საზღვრები გადის სახელშეკრულებო თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპის შეზღუდვის ფარგლებზე, რადგან იგი მიმართულია სამართლიანობის ძირითადი

---

<sup>104</sup> ზოიძე ბ. , ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 288

<sup>105</sup> იხ. Case C-7/97, *Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprint Zeitungs- und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG, Mediaprint Zeitungsvertriebsgesellschaft mbH & Co. KG and Mediaprint Anzeigengesellschaft mbH & Co. KG* [1998], ECR. I-7791, ECLI:EU:C:1998:569

<sup>106</sup> Lambertz A. “The Role of Competition Law in Regulatory European Private Law”, *Marble Research Papers*; 2013, გვ. 300

არსისკენ, ამასთან იგი მიემართება გარკვეული ბალანსის დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში<sup>107</sup>.

## 2. 2. მიწოდებაზე უარის კონკურენციის სამართლებრივი და კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტების მიზნობრივი და ფუნქციური მსგავსება

მიწოდებაზე უარისა და კონტრაქტების იძულების ინსტიტუტების მიზნობრივ და ფუნქციურ მსგავსებაზე საუბრისას, უმჯობესია თითოეული მათგანი ამ კონტექსტში განვიხილოთ ცალ-ცალკე.

მიწოდებაზე უარი, როგორც კონკურენციის სამართლებრივი ინსტიტუტი მიზნად ისახავს და მის ფუნქციას წარმოადგენს აკრძალოს დომინანტ საწარმოთა ქცევა, ანუ ცალმხრივი ქმედებები, რათა დომინანტური მდგომარეობა ბოროტად არ იქნეს გამოყენებული და არ მოხდეს კონკურენციის დამახინჯება მომხმარებელთა კეთილდღეობის ხარჯზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეს ინსტრუმენტი გამოიყენება დომინანტთა ცალმხრივი ქმედების აღსაკვეთად, რათა არ მოხდეს კონკურენტების გაძევება ბაზრიდან, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება, როგორც კონკურენციაზე, ასევე მომხმარებლებზე.<sup>108</sup> ამგვარად, სწორედ ამ არასასურველი შედეგის არდადგომისათვის არის გათვალისწინებული, რომ ამ ინსტიტუტის ფუნქცია და მიზანი არის არა მხოლოდ კონკურენციის სამართლებრივი ნორმის დარღვევის გამოვლენა, არამედ მისი გამოსწორებაც, რაც სწორედ ხელშეკრულების დადების ვალდებულებაში ვლინდება.

რაც შეეხება კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტს, მისი მიზანი არა მხოლოდ ხელშეკრულების დადების ვალდებულების დაკისრებაა, არამედ ამგვარად ხდება კერძო სამართლის ძირითადი პრინციპების დაცვაც,

<sup>107</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ. 202

<sup>108</sup> Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100 ; Organisation de Coopération et de Développement Economiques; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 2

გამომდინარე იქიდან, რომ მხარე სწორედ კერძო ავტონომიისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპით იბოჭება.<sup>109</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ეს ინსტიტუტი, ხელშეკრულების დადების ვალდებულების იძულებას უკავშირებს საწარმოს დომინანტურ მდგომარეობას ბაზარზე, ამ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანია დაიცვას ე.წ. „სუსტი მხარე“ ანუ მომხმარებელი, რომლის ინტერესები შეიძლება არსებითად შეილახოს, ამით კი ნორმა სამართლის სოციალური ფუნქციის მნიშვნელობას იძენს.<sup>110</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების მხარეები წარმოდგენილნი არიან, როგორც განსხვავებული ცოდნის, გამოცდილების, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის მქონე სუბიექტები.<sup>111</sup>

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტების იძულების მიზანს წარმოადგენს ხელშეკრულების დადება, გამომდინარე აქედან, მას აქვს სამოქალაქო ბრუნვის გაძლიერებისა და ხელშეწყობის ფუნქცია, მაშასადამე, იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია პოზიცია, რომ ეს ინსტიტუტი უნდა არსებობდეს სწორედ მაშინ, როდესაც ამას სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები მოითხოვს.<sup>112</sup>

შეჯამების სახით, ზემოაღნიშნული მსჯელობების გათვალისწინებით, ორივე ინსტიტუტი მსგავსებას ავლენს ფუნქციებსა და მიზნებში, რადგან საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს ხელშეკრულების დადების ვალდებულების განსაზღვრას.

---

<sup>109</sup> ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ. 221

<sup>110</sup> გელაშვილი ი. , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 60, ველი 22

<sup>111</sup> მესხიშვილი მ. „ხელშეკრულებების პირობითი დაყოფა ტიპებად“, დოქტორანტა კვლევითი კომპონენტები, 2015, გვ. 38

<sup>112</sup> ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაქტების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 70-71

### 2.3. კონტრაქტების იძულება - არასრული ალტერნატივა

კონტრაქტების იძულება, როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ ვითარებაში, ნების არსებობაც რომ არ გვექონდეს, აწესებს პირის იძულებას, დადოს ხელშეკრულება.<sup>113</sup> იგი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი მის მიზნებთან და ფუნქციებთან მიმართებით საკმაოდ ბუნდოვანებითა და არასაკმარისობით ხასიათდება.

საკვლევი თემის ფარგლებში ამ ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი მთავარი აქცენტები თავს იყრის დომინანტი საწარმოების გავლენის ანუ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების შესამცირებლად დაწესებულ მექანიზმებში. სწორედ ამიტომ, საჭიროა იმ სამართლებრივი საფუძვლების გაიდენტიფიცირება, რაც უნდა გაიწეროს კონტრაქტების იძულების ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებში. აქედან გამომდინარე საკითხი აერთიანებს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნიუანსებს.<sup>114</sup>

აღსანიშნავია, რომ საკითხის პრობლემატური ბუნება საკმაოდ გამოკვეთილია, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ძალზე მწირი ნაშრომი მოიძებნება, გარდა ამისა ცალსახაა საკითხის ბუნდოვანი საკანონმდებლო მოწესრიგება.<sup>115</sup>

კონტრაქტების იძულებასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ იგი გამოჰყოფს სუბიექტს, რომელსაც ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელმაც თავისი საბაზრო ძალაუფლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, დაიწყოს კონტრაქტების შერჩევა, რაც შედეგად განაპირობებს სამოქალაქო ბრუნვის მიღმა

---

<sup>113</sup> გელაშვილი ი. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 60, ველი 22

<sup>114</sup> ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაქტების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 68

<sup>115</sup> იქვე

გარკვეულ პირთა დარჩენას და საბოლოო ჯამში სამოქალაქო ბრუნვას ერთი პირის ნებაზე დამოკიდებულს გახდის. სწორედ ამიტომაც, ეს დანაწესი ავალდებულებს დომინანტს არა მხოლოდ ხელშეკრულების დადებას, არამედ სამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შეთავაზებას.<sup>116</sup>

ამგვარად, კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი წარმოადგენს კერძო ავტონომიის შეზღუდვის ცალკეულ ტიპს, რომლის შედეგადაც დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოს თავისი საბაზრო ძალაუფლებიდან გამომდინარე კონტრაქტს კაბალური პირობები შესაძლოა მოახვიოს თავს.<sup>117</sup> ამასთან, იგი მიემართება სახელშეკრულებო სამართლიანობის იდეას და არა მხოლოდ ხელშეკრულების დადების ვალდებულებას განსაზღვრავს, არამედ შინაარსის მხარეშიც შედის და კონტრაქტისათვის სამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შეთავაზებას მოითხოვს.<sup>118</sup>

როგორც ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამოიკვეთა, ამ ინსტიტუტს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზანი, თუმცა დღის წესრიგში დგას, თუ რამდენად საკმარისია მისი ამგვარი რეგულირება, რომ ემსახუროდეს დასახული მიზნების მიღწევას და სათანადო ფუნქციის შესრულებას, რის გამოც იგი წარმოჩინდება, როგორც მოწესრიგების არასრული ალტერნატივა.

სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილი ხელშეკრულების დადებაზე პირის იძულებას უკავშირებს კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებს, მათგან ერთ-ერთია

---

<sup>116</sup> ზოიძე ბ. , ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 288

<sup>117</sup> ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მე-10 მუხლი, თბილისი, 2017, გვ. 58, ველი 19

<sup>118</sup> ზოიძე ბ. , ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 288

ბაზარზე პირის დომინირებული მდგომარეობა.<sup>119</sup> ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგება დომინანტის ზუსტ ცნებას არ გვთავაზობს, შესაძლოა გარკვეული ორაზროვნებაც კი იქნეს შეტანილი მასში, მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა შრომის სამართლიდან, კერძოდ ეს ნორმა შესაძლოა ბუნებრივად დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ პირს ავალდებულებდეს კანდიდატთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებას თანაბარი პირობებითა და დისკრიმინაციის გარეშე, სამართლიანობაზე დაყრდნობით.<sup>120</sup>

საბოლოო ჯამში, აღსანიშნავია, რომ დომინანტი საწარმოს შემოყვანას საკანონმდებლო მოწესრიგებაში თან სდევს კონკურენციისსამართლებრივი ასპექტების გამოვლენა. იმისთვის, რომ კონტრაქტების იძულების სამოქალაქოსამართლებრივმა რეგულირებამ შედეგი გამოიღოს, აუცილებელია მოვიშველიოთ კონკურენციისსამართლებრივი განსაზღვრებები და მჭიდრო კავშირი დავიჭიროთ მასთან, რადგან მხოლოდ კონტრაქტების იძულების მუხლით, როგორც მინიმუმ ვერ დადგინდება საწარმოს დომინანტობა, რადგან ეს უამრავ ფაქტორთან არის დაკავშირებული, მათ შორის არის შესაბამისი ბაზრის კვლევა, სადაც განისაზღვრება კონკრეტული საწარმოს საბაზრო ძალაუფლება.

ქართულ სინამდვილეში, კონტრაქტების იძულების მუხლის ბუნდოვანებას ემატება თითქმის არარსებული სასამართლო პრაქტიკა, შესაბამისად ეს ყოველივე ჯაჭვურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და მაშასადამე, ვერ ზუსტდება, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს კონტრაქტების იძულების ფარგლებში დადებული

---

<sup>119</sup> შველიძე ზ. , სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი დისკრიმინაციის დავისას, თბილისი, 2019, გვ. 126

<sup>120</sup> იქვე, გვ. 127

ხელშეკრულების პირობები იმგვარად, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ იქნეს დარღვეული.<sup>121</sup>

საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ კონტრაქტების იძულება ხასითდება, როგორც არასრული ალტერნატივა ხელშეკრულების დადების ვალდებულებასთან მიმართებით.

#### 2.4. კონკურენციის სამართლებრივი მოწესრიგების ეფექტიანობა

მიწოდებაზე უარის, როგორც კონკურენციის სამართლებრივი ინსტიტუტის ეფექტიანობა და გამოსადეგობა ვლინდება მის პრაქტიკულ მნიშვნელობაში, ვინაიდან იგი ქმედითი მექანიზმია და დარღვეული ქმედებისათვის ითვალისწინებს არა მხოლოდ ჯარიმის დაკისრებას, არამედ ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რაზეც ქვემო თავში კიდევ უფრო დეტალურად გვექნება საუბარი, სადაც კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებს მიმოვიხილავთ.

მიწოდებაზე უარის, როგორც კონკურენციის სამართლის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტის ფართო ჭრილში განხილვით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იგი ძირითად მიზნად ისახავს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთას ბაზარზე, რითაც განაპირობებს როგორც თავისუფალი და ეფექტურად მოქმედი ბაზრის სტრუქტურის დაცვას, ისე მომხმარებლების კეთილდღეობას.<sup>122</sup>

---

<sup>121</sup> ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაქტების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 68

<sup>122</sup> ჯაფარიძე ლ. „კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში - მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები (შრომები), თბილისი, 2016, გვ. 8

მიწოდებაზე უარის მარეგულირებელი ნორმა რომ ეფექტიანი და გამოსადეგია მოწმობს ევროპულ სამართალში საკმაოდ დიდი პრეცედენტული სამართლის ქონა, რომელიც თანდათანობით კონკრეტულ საქმეზე დაყრდნობით ავითარებდა ფართო მსჯელობებს და პრაქტიკაში მისი დამკვიდრება გარდაუვალ და შეუქცევად პროცესად იქცა. ყოველი შემდგომი საქმე იმეორებს იმ პრაქტიკას, რაც უკვე დადგენილია და საჭიროების შემთხვევაში გარკვეულ კრიტერიუმებს აზუსტებს.

უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის უმთავრესი მიზანი არის ეკონომიკურ აგენტებს (საწარმოებს) შორის კონკურენციის ხარისხის გაზრდა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მომხმარებელთა კეთილდღეობასა და ბაზარზე რესურსების ეფექტიან განაწილებას. აღნიშნული მიზანი კი მიიღწევა აღსრულების გარვეული მექანიზმებით. ამ თვალსაზრისით ეფექტი მიიღწევა დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოთა თავინთი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენციითა და თავიდან აცილებით, რაც საერთო საზოგადოებრივ ინტერესს მიემართება.<sup>123</sup>

## 2.5. კონტრაქტების იძულება, როგორც მიწოდებაზე უარის კონკურენციის სამართლებრივი შედეგი

ამ თავში მიმოვიხილავთ საკითხს: არის თუ არა კონტრაქტების იძულება მიწოდებაზე უარის სამართლებრივი შედეგი, რომელიც აუცილებლად დგება ასეთი დარღვევის შემთხვევაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ გადაწყვეტილებები, სადაც საუბარია მიწოდებაზე უარის დარღვევასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგზე. როგორც წესი, TFEU-ის 102-ე მუხლის დარღვევისათვის სანქციის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა, თუნცა არსებულ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესოა ყურადღების გამახვილება

<sup>123</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020 , გვ. 115-116

ჯარიმასთან ერთად დაწესებულ ვალდებულებაზე, კერძოდ, განისაზღვრება თუ არა მიწოდების ან/და ხელშეკრულების დადების ვალდებულება კონკურენციისსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის.

პირველ რიგში საინტერესოა განვიხილოთ ქართულ კონკურენციისსამართლებრივ პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილება,<sup>124</sup> რომელშიც კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა და განავითარა მსჯელობა მიწოდებაზე უართან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული კონკურენციის სამართალი ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებას იღებს და ამასთან იზიარებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკას, კონკურენციის ეროვნული სააგენტო სწორედ მას დაეყრდნო და გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მიწოდებაზე უარის ანუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას არა მხოლოდ ჯარიმა არის გათვალისწინებული ამ დარღვევისთვის, ასევე კონკურენციისსაწინააღმდეგო ქმედების გამოსწორება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოპასუხემ უნდა გამოასწოროს კონკურენციისსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად არსებული მდგომარეობა. ამრიგად, სააგენტოს შეხედულებით ხელშეკრულების არდადება დარღვევაა, რაც აღმოფხვრილ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადების გზით.

ევროკავშირის სამართალმა და დადგენილმა პრაქტიკამ შემოიღო დომინანტი საწარმოსთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ცნება კონკურენციის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად: თუ მიმწოდებელი ფლობს მონოპოლიას ნედლეულზე; ჰქონდა მუდმივი ურთიერთობა, რომელიც შეწყდა ან მყიდველი ცდილობს დანერგოს ახალი პროდუქტი მეორად ბაზარზე, რომელზედაც არსებობს სამომხმარებლო მოთხოვნა და არ გვაქვს მიწოდებაზე უარის ობიექტური

---

<sup>124</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020

საფუძვლები, დომინანტ კომპანიას შესაძლოა დაევალოს მიწოდება გონივრული პირობებით.<sup>125</sup>

საქმე, რომელშიც მიწოდებაზე უარის რეზულტატად ხელშეკრულების დადების ვალდებულება განისაზღვრა, ევროპული პრაქტიკიდან აღსანიშნავია *Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission of the European Communities*,<sup>126</sup> რაც წარმოადგენს ყველაზე ადრეულ პრეცედენტს, სადაც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ Commercial Solvents-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა, რაც გამოიხატა აუცილებელი ნედლეულის მიწოდებაზე უარში, რითაც ძირითადი საშუალებების მიწოდებაზე უარით გამოიწვევდა კონკურენტის ბაზრიდან განდევნას.<sup>127</sup>

ამასთან, აღნიშნულ საქმეში სახეზე გვქონდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როდესაც დომინანტი უარს ეუბნება მომხმარებელს პროდუქციის მიყიდვაზე, სწორედ ამ დროს ეს მომხმარებელი ოპერირებდა იმავე ბაზარზე და მისი კონკურენტი იყო, შესაბამისად მისთვის უარი პროდუქციის შეთავაზებაზე გამოიწვევდა მის ბაზრიდან განდევნას. ამის პარალელურად კი, დომინანტი კომპანია ახდენდა მსგავსი პროდუქციით სხვა კომპანიების მომარაგებას, შესაბამისად ასეთ დროს, როდესაც პროდუქციის მიყიდვაზე უარს არ გააჩნია ობიექტურად გამამართლებელი საფუძველი, ეს უარი თავისთავად განისაზღვრება, როგორც კანონსაწინააღმდეგო.<sup>128</sup>

---

<sup>125</sup> Lidgard H.H. “Refusal to Supply or to License“ , 2010 , გვ. 3

<sup>126</sup> იხ. Joined cases 6 and 7-73. *Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission of the European Communities*, [1974] ECR 223, ECLI:EU:C:1974:18.

<sup>127</sup> Subiotto R. ; O’Donoghue R. „Defining the Scope of the Duty of Dominant Firms to Deal with Existing Customers under Article 82 EC „, 2003, გვ. 684

<sup>128</sup> მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები. I ნაწილი, თბილისი, 2018, გვ. 217

სწორედ ამ საქმეში აღინიშნა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეულ ვითარებაში, დომინანტური მდგომარობის მქონე საწარმო ვალდებული იყო გარიგება დაედო სხვა საწარმოსთან, რომელიც ოპერირებდა ქვედა დონის ბაზარზე.<sup>129</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს და კომისიას, პრაქტიკაში ხშირად მოჰყავთ ხოლმე Commercial Solvents-ის საქმე, როგორც მნიშვნელოვანი საქმე, რომელმაც დაამკვიდრა საკმაოდ ფართო პრინციპი. ეს უკანასკნელი და United Brands<sup>130</sup>-ის საქმე არის ორი ყველაზე ხშირად ციტირებადი შემთხვევა TFEU-ის 102-ე მუხლთან დაკავშირებით, რამდენადაც ამ საქმეებმა პრინციპის სახით ჩამოაყალიბა, რომ დომინანტ კომპანიას აქვს მიწოდების ვალდებულება, რაც შემდგომ დამკვიდრდა იმგვარად, რომ აღარ არის საჭირო ე.წ. „არსებითი საშუალებების“ შემთხვევების გამოყოფა ბაზრიდან გამრიცხველი ბოროტად გამოყენების საქმეებისგან.<sup>131</sup>

United Brands<sup>132</sup>-ის საქმეში ECJ მიიჩნევდა, რომ ბოროტად გამოყენება სახეზეა, როდესაც დომინანტი მიმწოდებელი, რომელიც წყვეტს მარაგის მიწოდებას დისტრიბუტორისთვის იმ მოტივით, რომ დისტრიბუტორი მონაწილეობდა კონკურენტი მიმწოდებლის სარეკლამო კამპანიაში. ECJ-მ, როგორც ჩანს, უფრო ზოგადად შეიმუშავა პრინციპი, რომ დომინანტ ფირმას არ შეუძლია შეუწყვიტოს მიწოდება დიდი ხნის მომხმარებელს, რომელიც იცავს რეგულარულ კომერციულ

---

<sup>129</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond„ Columbia Journal of European Law, Brussels, 2004, გვ. 2

<sup>130</sup> იხ. Case 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22 .

<sup>131</sup> Lang J.T. “ Defining Legitimate Competition: Companies Duties to Supply Competitors and Access to Essential Facilities; Fordham International Law Journal ; Volume 18, Issue 2 ; 1994 Article 4 ; გვ. 445

<sup>132</sup> იხ. Case 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22.

პრაქტიკას, ამავე დროს კლიენტის მიერ გაკეთებული შეკვეთები ვერანაირად ვერ გამოდის ჩვეულებრივისგან განსხვავებული.<sup>133</sup>

სასამართლოს აზრით, აღნიშნულ საქმეში მიწოდების შეწყვეტა ეწინააღმდეგება ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლს, კერძოდ კი, b და c პარაგრაფებს, რადგანაც მიწოდებაზე უარს შედეგად მოჰყვება ბაზრების შეზღუდვა მომხმარებლების საზიანოდ. ეს კი გამოიწვევს დისკრიმინაციას, რასაც საბოლოო ჯამში თან ახლავს სავაჭრო პარტნიორის შესაბამისი ბაზრიდან გაძევება.<sup>134</sup>

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მიწოდებაზე უარის ერთ-ერთი ფორმა მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებს. აღსანიშნავია, რომ თავად ინტელექტუალური საკუთრების უფლების<sup>135</sup> დაცვა უდიდესი სამართლებრივი მნიშვნელობის მქონეა. ამ მიზნით, ზოგადად, ლიცენზიის მიწოდებაზე უარი არ არის დარღვევა, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში ის მაინც შეიძლება მიიჩნეოდეს დარღვევად. მაგალითად, საქმეში *Volvo v Veng*<sup>136</sup>, ECJ -მ დაადგინა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დროს, დომინანტი საწარმოები ლიცენზიას ბოროტად იყენებენ ან შეიძლება გამოიყენონ, ასეთი ქმედებები შესაძლოა შეფასდეს, როგორც დარღვევა.<sup>137</sup>

---

<sup>133</sup> Subiotto R. ; O'Donoghue R. „Defining the Scope of the Duty of Dominant Firms to Deal with Existing Customers under Article 82 EC., 2003 , გვ. 685

<sup>134</sup> მენაბდიშვილი ს. „მიწოდებაზე უარი როგორც დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე“, სამართლებრივი ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N3(67 )<sup>20</sup>, 2020, გვ. 13

<sup>135</sup> ავტორის შენიშვნა: ურთიერთმიმართება კონკურენციის სამართალსა და ინტელექტუალური საკუთრების სამართალს შორის სცილდება აღნიშნული თემის კვლევის ფარგლებს, საქმეები მოხმობილია ხელშეკრულების დადების ვალდებულებასთან მიმართებით.

<sup>136</sup> იხ. Case 238/87, *AB Volvo v Erik Veng (UK) Ltd.* [1988], ECR -6211, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:477

<sup>137</sup> ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, გვ. 76

საქმეებში *Maxicar v. Renault*<sup>138</sup> და *Volvo v. Veng*<sup>139</sup>, სადაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მინიჭებით მათ მფლობელებს წარმოემვათ დომინანტური მდგომარეობა ან მონოპოლია, სასამართლო შეეცადა ბალანსი დაეჭირა მესაკუთრის კანონიერ უფლებებსა და მესამე მხარის საჭიროებებს შორის. ამ ორ შემთხვევაში, სასამართლომ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები, რომლებიც არეგულირებს გარიგების დადების მოვალეობას ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან ურთიერთკავშირში.<sup>140</sup>

უფრო დეტალურად საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: *Renault* და *Volvo* ფლობდნენ დიზაინის უფლებებს სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილებზე, რომლებსაც თავად აწარმოებდნენ. მათი უარი ეხებოდა დამოუკიდებელი მწარმოებლებისთვის ლიცენზიის გაცემას სათადარიგო ნაწილების წარმოების, იმპორტის ან რეპროდუქციის გაყიდვაზე მათი თანხმობის გარეშე. სათადარიგო ნაწილების მწარმოებლები ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ "მეწარმის უფლება დიზაინზე დაცულია, რათა მან ხელი შეუშალოს მესამე პირებს წარმოებაზე, გაყიდვაზე და იმპორტზე მათი თანხმობის გარეშე, პროდუქცია, რომელიც მოიცავს დიზაინს, წარმოადგენს განსაკუთრებული (ექსკლუზიური) უფლების საგანს."<sup>141</sup>

სასამართლომ მიუთითა, რომ უარი ლიცენზიის გაცემაზე, თუნდაც გონივრული ჰონორარის სანაცვლოდ, თავისთავად არ წარმოადგენს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას. თუმცა, სასამართლომ განაცხადა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენება შეიძლება წარმოადგენდეს ბოროტად

---

<sup>138</sup> იხ. Case 53/87, *Consortio italiano della componentistica di ricambio per autoveicoli and Maxicar v Régie nationale des usines Renault*, [1988], ECR 6039, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:472

<sup>139</sup> იხ. Case 238/87, *AB Volvo v Erik Veng (UK) Ltd.* [1988], ECR -6211, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:477

<sup>140</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond „Columbia Journal of European Law”, Brussels, 2004, გვ. 7

<sup>141</sup> იქვე

გამოყენებას, თუ ის გულისხმობს გარკვეულ კონკურენციისსაწინააღმდეგო ქცევას. მაგალითად, როგორცაა დამოუკიდებელ მწარმოებლებზე სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე თვითნებური უარი, სათადარიგო ნაწილებზე უსამართლო ფასების დაწესება ან სათადარიგო ნაწილების კონკრეტული მოდელების წარმოების შეწყვეტა მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ამ მოდელის მანქანა ჯერ კიდევ მიმოქცევაშია.<sup>142</sup>

ამგვარად, მიწოდებაზე უარის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურ შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნება საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან. თავად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში, (მუხლი 1, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ბ“) ვხვდებით ჩანაწერს, რომ ამ კანონის მოქმედების სფერო არ ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უფლებები კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის გამოიყენება. კონკურენციის შეზღუდვის მსგავს შემთხვევათაგან ერთ-ერთია სწორედ მიწოდებაზე უარი. თუმცა, უფლებები, რომლებიც პირს ენიჭება ინტელექტუალური საკუთრების უფლების ფლობით ზუსტად იმგვარად არის დაცული, როგორც კონკურენციის სამართლით კონკურენტის არსებით სიმძლავრეზე დაშვება.<sup>143</sup>

შემდეგი მნიშვნელოვანი პრეცედენტია Magill<sup>144</sup>-ის საქმე, რომელიც ეხება ლიცენზიაზე უარს. 1995 წელს Magill-ის საქმეში, სამმა სატელევიზიო მაუწყებელმა გამოიყენა საავტორო უფლებები, რომელიც მათ ჰქონდათ სატელევიზიო პროგრამების განრიგზე, რათა არ მიეწოდებინათ ყოველკვირეული გადაცემების განრიგის შესახებ ინფორმაცია. იმ დროს შესაბამის ბაზარზე არ არსებობდა სხვა

---

<sup>142</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond „ Columbia Journal of European Law”, Brussels, 2004, გვ. 7

<sup>143</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 446

<sup>144</sup> იხ. Joined cases C-241/91 P and C-242/91 P; *Radio Telefis Eireann (RTE) and Independent Television Publications Ltd (ITP) v Commission of the European Communities*. [1995], ECR I-743, ECLI:EU:C:1995:98

ყოველკვირეული სატელევიზიო პროგრამების გზამკვლევი, რომელიც მოიცავდა სამივე ხელმისაწვდომ სატელევიზიო მაუწყებლობის განრიგს.<sup>145</sup>

Magill-ის საქმის განხილვისას კომისიამ და შემდგომში ორივე სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელებს თავდაპირველად ყოველკვირეული გადაცემების გზამკვლევის გაკეთებაზე თანხმობა გაცემული ჰქონდათ, შესაბამისად გადამწყვეტ მომენტში ინფორმაციის გაცემაზე უარი შეფასდა, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამის მიზეზი კი იყო ის, რომ მსგავსი გზამკვლევი ირლანდიურ სატელევიზიო სივრცეში არ არსებობდა და ანალოგიური ინფორმაციის მიღება მომხმარებლისთვის მათ გარეშე ვერ მოხდებოდა.<sup>146</sup>

Magill-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ გარიგებაზე უარის შემთხვევებში, ბოროტად გამოყენება სახეზე გვაქვს მხოლოდ "საგამონაკლისო გარემოებების" არსებობისას, რომელიც აკმაყოფილებს სამ პირობას: 1) პროდუქტს, რომელსაც ეხება მიწოდებაზე უარი, შემცვლელი არ ჰყავს, რაც საჭიროა ახალი პროდუქტის ბაზარზე შემოსასვლელად; 2) არ არსებობს ამგვარი უარის ობიექტური გამართლება და 3) დომინანტური კომპანია ამ პროდუქტს ინახავს თავისთვის ქვედა დონის მეორად ბაზარზე.<sup>147</sup>

შემდეგი საქმე არის *Tiercé Ladbroke SA v Commission of the European Communities*<sup>148</sup>, სადაც სასამართლოს მიეცა კიდევ ერთი შესაძლებლობა, განესაზღვრა გარიგების დადების მოვალეობა, როდესაც ობიექტი, რომელზეც მოითხოვეს დაშვება, იყო ინტელექტუალური საკუთრების უფლება და ამ საქმემ მცირე ცვლილებები შეიტანა

---

<sup>145</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 44-45

<sup>146</sup> ცერცვაძე გ. , კონკურენციის სამართალი-ევროპული მოდელი საქართველოსთვის, ტომი I, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 261

<sup>147</sup> OECD's Report on Refusals to Deal, 2007, გვ. 44-45

<sup>148</sup> იხ. Case T-504/93, *Tiercé Ladbroke SA v Commission of the European Communities*. [1997], ECR II-923, ECLI:EU:T:1997:84

Magill-<sup>149</sup>ის საქმეში.<sup>150</sup> ამრიგად, როგორც ჩანს, Ladbroke-მა შეზღუდა Magill-ის მოქმედების სფერო, რადგან იქ არ არსებობდა ლიცენზიის გაცემის მოვალეობა, როდესაც ობიექტის მფლობელი არ იმყოფებოდა ქვედა დონის ბაზარზე ან როდესაც საწარმოს, რომელსაც მოეთხოვებოდა ლიცენზია იყო დომინანტი ქვედა დონის ბაზარზე.<sup>151</sup>

ამასთან, სასამართლოს თანახმად, მაშინაც კი, როდესაც ობიექტის მფლობელი არ იმყოფებოდა ქვედა დონის ბაზარზე, ლიცენზიის გაცემაზე უარი შეიძლება იყოს ბოროტად გამოყენება, თუკი ლიცენზია გადაეცემოდა სხვებს, რომლებიც ოპერირებენ ქვედა დონის ბაზარზე. უფრო მეტიც, Magill<sup>152</sup>-ის საქმეში მოცემული სამი პირობის შესახებ, სასამართლო მიუთითებს, რომ ისინი არ იყვნენ კუმულაციური. დაბოლოს, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ არგუმენტაცია, რის საფუძველზეც Ladbroke<sup>153</sup>- ის საქმეში მოპასუხეებს უარი უთხრეს ლიცენზიის გაცემაზე. მართლაც, რადგან ისინი არ იყვნენ წარმოდგენილი ბელგიის ფსონების ბაზარზე, მათ გააჩნდათ ლიცენზიის გაცემის სურვილი, თუ ისინი მოქმედებენ რაციონალურად თავიანთი მოგების მაქსიმალურად გაზრდის მცდელობით.<sup>154</sup>

---

<sup>149</sup> იხ. Joined cases C-241/91 P and C-242/91 P; *Radio Telefis Eireann (RTE) and Independent Television Publications Ltd (ITP) v Commission of the European Communities*. [1995], ECR I-743, ECLI:EU:C:1995:98

<sup>150</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond„ Columbia Journal of European Law, Brussels, 2004, გვ. 12

<sup>151</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond„ Columbia Journal of European Law, Brussels, 2004, გვ. 13

<sup>152</sup> იხ. Joined cases C-241/91 P and C-242/91 P; *Radio Telefis Eireann (RTE) and Independent Television Publications Ltd (ITP) v Commission of the European Communities*. [1995], ECR I-743, ECLI:EU:C:1995:98.

<sup>153</sup> იხ. Case T-504/93, *Tiercé Ladbroke SA v Commission of the European Communities*. [1997], ECR II-923, ECLI:EU:T:1997:84

<sup>154</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond „Columbia Journal of European Law, Brussels, 2004, გვ. 13-14

ასევე აღსანიშნავია IMS Health<sup>155</sup>-ის საქმე, სადაც სასამართლომ ის კრიტერიუმები განსაზღვრა, რომელთა მეშვეობით დადგინდება ლიცენზიის მიცემაზე უარის ბოროტად გამოყენების შემთხვევა, ესენია:

- 1) ლიცენზიის მთხოვნელ ეკონომიკურ აგენტს(საწარმოს) სურს მონაცემების მიწოდების ბაზარზე ახალი პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზება, რაც საავტორო უფლების მფლობელს აქამდე არ აქვს შეთავაზებული და მასზე პოტენციური სამომხმარებლო მოთხოვნა;
- 2) უარი არ თავსდება ობიექტური გამართლების კრიტერიუმებში;
- 3) ამგვარი უარის დროს საავტორო უფლებების მფლობელი ახდენს ფარმაცევტული პროდუქციის გაყიდვების მონაცემების მიწოდების ბაზრის დარეზერვებას შესაბამის წევრ სახელმწიფოში ამ ბაზარზე კონკურენციის სრულად აღმოფხვრით.<sup>156</sup>

ამ საქმესთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მკაფიო არ არის. როგორც უკვე Magill-ის საქმეში გამოიკვეთა, "ახალი პროდუქტის" ცნებამ შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს. უფრო მეტიც, გაუგებარია, ის სამი პირობა, რომელიც განსაზღვრა სასამართლომ, უნდა გავრცელდეს მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან მიმართებით, თუ ასევე მაშინაც როცა სახეზე გვექნება ინფრასტრუქტურის არსებობა. დაბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ "საკმარისია" რომ ეს სამი პირობა დაკმაყოფილებული იყოს, რაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ შესაძლოა სხვა პირობებიც გამოიყენონ.<sup>157</sup>

აღნიშნულ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლომ კიდევ ერთხელ გაამყარა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად

---

<sup>155</sup> იხ. Case C-418/01. *IMS Health GmbH & Co. OHG v NDC Health GmbH & Co. KG*. [2004] ECR I-5039, ECLI:EU:C:2004:257

<sup>156</sup> მენაბდიშვილი ს. „მიწოდებაზე უარი როგორც დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე“, სამართლებრივი ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N3(67) '20, 2020, გვ. 18

<sup>157</sup> Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond „ Columbia Journal of European Law, Brussels, 2004, გვ. 29

გამოყენება ვერ დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმით. შესაძლოა განისაზღვროს კიდევაც სავალდებულო ლიცენზიის გაცემის აუცილებლობა, თუმცა იგი უნდა ჯდებოდეს გარკვეულ „საგამონაკლისო შემთხვევებში“, უფრო დეტალურად რომ განვსაზღვროთ, ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა თავის თავში უნდა გულისხმობდეს სწორედ იმ ახალი საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას, რაზეც იარსებებს პოტენციური სამომხმარებლო მოთხოვნა.<sup>158</sup>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი პრაქტიკიდან არის Microsoft Corp. v. Commission<sup>159</sup>-ის საქმე, სადაც კომისიამ დაადგინა, რომ თავსებადობის ინფორმაცია და დაშვება იყო საჭირო იმისათვის, რომ Microsoft-ის კონკურენტებს საშუალება მისცემოდა, კონკურენცია გაეწიათ ქვედა დონის ბაზარზე პერსონალური კომპიუტერული ოპერაციული სისტემების ბაზრისთვის.<sup>160</sup> მოკლედ, რომ მიმოვიხილოთ, საქმე ეხებოდა Microsoft-ის მიერ Windows Media Player-ის „ინტერფეისის“ მიწოდებაზე უარს, ამგვარად „ინტერფეისი“-ს გარეშე მედია ფლეიერი ვერ შეძლებდა ემუშავა სხვა ოპერაციულ სისტემებზეც.<sup>161</sup> კომისიამ დაადგინა, რომ Microsoft-მა კომპიუტერების მწარმოებლებისათვის „ინტერფეისის“ მიწოდებაზე უარით დაარღვია TFEU-ის 102-ე მუხლი. აღნიშნული ინტერფეისი საჭირო იყო Windows Media Player-ის სხვა ოპერაციულ სისტემებთან (გარდა Windows-ისა)

---

<sup>158</sup> მენაბდიშვილი ს. „მიწოდებაზე უარი როგორც დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე“, სამართლებრივი ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N3(67) '20, 2020, გვ. 18

<sup>159</sup> იხ. Case T-201/04, *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:28

<sup>160</sup> Roundtable on Refusals to Deal -- Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100 ; Organisation de Coopération et de Développement Economiques ; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, გვ. 7

<sup>161</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის ადმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, გვ. 41

თავსებადობის უზრუნველსაყოფად, რაც შეეხება Microsoft-ის პოზიციას, იგი მიწოდებაზე უარს ამართლებდა საავტორო უფლებების დაცვის არგუმენტით.<sup>162</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიწოდებაზე უარის ეს ქმედება, კერძოდ ინტერფეისის მიუწოდებლობა საბოლოო ჯამში მიმართული იყო სხვა ოპერაციული სისტემების მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის შესუსტებისკენ და ამავე დროს ბაზარზე სხვა მეტოქეების რაოდენობას შეამცირებდა.<sup>163</sup>

შეჯამების სახით, Microsoft-ის საქმის სამართლებრივ შედეგთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ კომისიამ დააჯარიმა იგი და ამავე დროს დაავალდებულა საწარმო, რომ აღეკვეთა ისეთი ქმედებები, რაც უკანონოდ ზღუდავდა კონკურენციას შესაბამის ბაზარზე. სწორედ ეს საქმე არის ნათელი მაგალითი იმისა, რაც კონკურენციის სამართალმა ჩამოაყალიბა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან მიმართებით, კერძოდ დაამკვიდრა ე.წ. „სავალდებულო ლიცენზირების ინსტიტუტი“. სამართლებრივი რეზულტატი რომ განვავრცოთ, კომისიამ დაავალდებულა დომინანტი საწარმო, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ მიაწოდოს ყველა ის საჭირო ინფორმაცია და ლიცენზია, რაც ესაჭიროება კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს, რომ შეძლოს მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქტის დაშვება Microsoft-ის საოპერაციო სისტემებთან.<sup>164</sup>

მიწოდებაზე უართან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმეა GlaxoSmithKline<sup>165</sup>-ის დავა საბერძნეთის ბაზარზე. ECJ-მ გამოიტანა გადაწყვეტილება

---

<sup>162</sup> იქვე

<sup>163</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, გვ. 41

<sup>164</sup> ცერცვაძე გ. , კონკურენციის სამართალი-ევროპული მოდელი საქართველოსთვის, ტომი I, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 235-236

<sup>165</sup> იხ. Joined cases C-468/06 to C-478/06, *Sot. Lélos kai Sia EE and Others v GlaxoSmithKline AEVE Farmakeftikon Proïonton, formerly Glaxowellcome AEVE* [2008] ECR I-7139, ECLI:EU:C:2008:504.

2008 წლის 16 სექტემბერს. იგი ეხება პარალელური იმპორტის მნიშვნელოვან საკითხს და TFEU-ის 102-ე მუხლს მიწოდებაზე უარის კონტექსტში და ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მან ჩამოაყალიბა გარკვეული რაოდენობის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პუნქტები. ECJ-მ დაადგინა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც პარალელური იმპორტი ხელისშემშლელი იქნება მაშინაც კი, თუ ის სადაოა ან არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პარალელური იმპორტი არ გამოიწვევს მომხმარებლისთვის სარგებელს. რაც შეეხება ობიექტურ გამართლებას, ECJ-მ, როგორც ჩანს, დაადასტურა, რომ დომინანტ კომპანიას შეუძლია მიწოდებაზე უარი მომხმარებლისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც მათი შეკვეთები არ არის ჩვეულებრივი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიწოდებაზე უარი იქნება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თუ არ არსებობს ობიექტური გამართლება.<sup>166</sup>

GlaxoSmithKline-ის საქმეზე სასამართლომ სპეციალურად აღნიშნა, რომ პარალელური ექსპორტის აკრძალვა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებაში თავსდება და შესაბამისად, TFEU-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობაც გარდაუვალია. ამგვარად, პარალელური ექსპორტის აკრძალვას მოჰყვება ბაზრიდან აქტიური მონაწილეების განდევნა, მეორე მხრივ კი ცალსახად ასეთი ქმედებები აზიანებს ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის არსებობას. დომინანტის მიერ კონკურენციის შეზღუდვა ვლინდება სხვათა ხარჯზე შემოსავლის გაზრდაში, კერძოდ ბაზრის სხვა მონაწილეებისა და მომხმარებელთა შემოსავლების ხარჯზე.<sup>167</sup>

ამგვარად, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ

---

<sup>166</sup> Dabbah M.M. European Union competition law , Module B: Abuse of a dominant Position Revised edition, 2012, გვ. 32

<sup>167</sup> ცერცვაძე გ. , კონკურენციის სამართალი-ევროპული მოდელი საქართველოსთვის, ტომი I, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 264 ;

დომინანტი საწარმოთათვის მესამე პირებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულების დაკისრებას არ აქვს მკაფიო ან თანმიმდევრული დასაბუთება ევროპულ კონკურენციის სამართალში. ზემოაღნიშნული საკითხზე მიმდინარე საქმეების განხილვისას კომისიასა და სასამართლოებს ერთი შეხედვით შემუშავებული აქვთ გარიგების დადების მოვალეობის ფართო გაგება, მაშინ როცა ამავე დროს არიან ფრთხილები ამ მოვალეობის შეზღუდვისას საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე.<sup>168</sup>

დომინანტი საწარმოსთვის ვალდებულების სახით ხელშეკრულების დადების დაკისრება წარმოადგენს საკმაოდ გართულებულ სიტუაციას იმ ფაქტის გამო, რომ გაუგებარია, ვრცელდება თუ არა ეს მოვალეობა საერთოდ ახალ მომხმარებლებთან ხელშეკრულების დადების შემთხვევებზე, ისევე, როგორც ეს გამოიკვეთა „არსებითი საშუალებების“ საქმეებში ევროკავშირის კონკურენციის სამართალში, რომლის მაგალითებად შესაძლოა დასახელდეს შემდეგი განხილული საქმეები: Volvo<sup>169</sup>, Renault<sup>170</sup>, Magill<sup>171</sup>, Ladbroke<sup>172</sup>, IMS Health<sup>173</sup> და სხვა პრეცედენტები. ანალიზი ამ საქმეებისა კიდევ უფრო კომპლექსურია, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი გადაწყვეტილებები ავიაკომპანიების ინტერლინგისა და კომპიუტერის დაჯავშნის სისტემებზე, სადაც კომისიამ დომინანტ ავიაკომპანიებს დააკისრა ხელშეკრულების დადების მოვალეობა მათთან, ვისთანაც ადრე არ ყოფილა სახელშეკრულებო

---

<sup>168</sup> Subiotto R. ; O'Donoghue R. „Defining the Scope of the Duty of Dominant Firms to Deal with Existing Customers under Article 82 EC „ 2003, გვ. 686

<sup>169</sup> იხ. Case 238/87, *AB Volvo v Erik Veng (UK) Ltd.* [1988], ECR -6211, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:477

<sup>170</sup> იხ. Case 53/87, *Conorzio italiano della componentistica di ricambio per autoveicoli and Maxicar v Régie nationale des usines Renault*, [1988], ECR 6039, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:472

<sup>171</sup> იხ. Joined cases C-241/91 P and C-242/91 P; *Radio Telefis Eireann (RTE) and Independent Television Publications Ltd (ITP) v Commission of the European Communities.* [1995], ECR I-743, ECLI:EU:C:1995:98

<sup>172</sup> იხ. Case T-504/93, *Tiercé Ladbroke SA v Commission of the European Communities.* [1997], ECR II-923, ECLI:EU:T:1997:84

<sup>173</sup> იხ. Case C-418/01. *IMS Health GmbH & Co. OHG v NDC Health GmbH & Co. KG.* [2004] ECR I-5039, ECLI:EU:C:2004:257

ურთიერთობებში, რასაც თან ახლდა გარემოება, რომ აშკარად გამოხატული არ იყო აღნიშნულის კონკურენტისთვის აუცილებლობა.<sup>174</sup>

ზემოაღნიშნული საკითხი ასევე გაანალიზებულია კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებაში, სადაც დადგინდა დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კერძოდ, მიწოდებაზე უარის გზით. ამგვარად, მიწოდებაზე უარის განსაზღვრის დროს საჭიროა, საკმაოდ ფრთხილი და სიღრმისეული გაანალიზება ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ეკონომიკური კონტექსტისა, ვინაიდან ეკონომიკური აგენტისთვის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმების გამოყენება ვლინდება მისთვის გარკვეული ქმედების განხორციელების, კერძოდ მიწოდების პირდაპირი თუ ირიბი ვალდებულების დაკისრებაში.<sup>175</sup>

ზემოთ განხილულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში მოხმობილია, რომ გარიგებაზე/მიწოდებაზე უარის გზით დომინანტი ეკონომიკური აგენტის/საწარმოს მიერ მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, იწვევს არა მხოლოდ მის დაჯარიმებას, არამედ ვინაიდან ეს ქმედება კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა, ამ ქმედების გამოსწორებასაც გულისხმობს, შესაბამისად განსაზღვრავს გარიგების/მიწოდების ვალდებულების დაკისრებას პირდაპირ თუ ირიბად. სწორედ ამით ენათესავება ზემოაღნიშნული კონკურენციის სამართლებრივი ინსტიტუტი კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტს. ორივე მათგანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ემსახურება, თუმცა აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიზანი არის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნება, ანუ იგი ორიენტირებულია არა კონკრეტული ეკონომიკური აგენტების/საწარმოს დაცვაზე, არამედ იცავს თავად კონკურენციის

---

<sup>174</sup> Subiotto R. ; O'Donoghue R. „Defining the Scope of the Duty of Dominant Firms to Deal with Existing Customers under Article 82 EC „ , 2003, გვ. 686

<sup>175</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020, გვ. 71

პროცესს.<sup>176</sup> ხოლო კონტრაქტების იძულება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ემსახურება ე.წ. „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვას, კერძოდ იცავს მას ხელშეკრულების არათანაბარი პირობებისა და მისი ინტერესების შელახვისგან.<sup>177</sup>

დასასრულ, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვის შედეგად გამოჩნდა, მიწოდებაზე უარს სამართლებრივ შედეგად მოჰყვება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. შესაძლოა გადაწყვეტილებებში პირდაპირი ჩანაწერი ხელშეკრულების დადების ვალდებულების შესახებ არ გვხვდება, თუმცა რადგანაც ეს დარღვევა ამ ვალდებულების შეუსრულებლობაში ვლინდება, შესაბამისად იგი მის გამოსწორებასაც გულისხმობს.

განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ მიწოდებაზე უარისა (ფართო გაგებით) და კონტრაქტების იძულების ინსტიტუტებს შორის არსებობს მიზნობრივი და ფუნქციური მსგავსება, თუმცა კონტრაქტების იძულება, როგორც სამოქალაქო სამართლის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ინსტიტუტი თავისთავად არასაკმარისია, საჭიროებს რა შევსებას სამართლის სპეციალური დარგიდან (კონკურენციის სამართალიდან). მეტიც, მიწოდებაზე უარის მოწესრიგების ევროპული და ქართული პრაქტიკა მიუთითებს, რომ კონტრაქტების იძულება უპირველეს ყოვლისა სამართლებრივი შედეგია მიწოდებაზე უარის, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და არა თვითმყოფადი სამართლებრივი საფუძველი.

## დასკვნა

---

<sup>176</sup> ჯაფარიძე ლ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 62

<sup>177</sup> გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 60, ველი 22

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მიწოდებაზე უარის კონკურენციის სამართლებრივი და კონტრაქტების იძულების სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტების ერთობლივი განხილვის შედეგად გამოიკვეთა მათ შორის ფუნქციური და მიზნობრივი მსგავსება.

ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ მოწესრიგების თვალსაზრისით, ეფექტიანობისა და გამოსადეგობის კუთხით განსხვავებულ შედეგებს ვაწყდებით, კერძოდ, სამოქალაქო სამართლებრივი მოწესრიგება გარკვეულ არასაკმარისობას ავლენს და შესაბამისად ერთგვარი სრულყოფისათვის საჭიროებს შევსებას სხვა სამართლებრივი დარგიდან, კერძოდ, კონკურენციის სამართლიდან.

კვლევამ აჩვენა და გამოკვეთა გარკვეული მიგნებები, რომლებიც შეგვიძლია, ცალკეული პუნქტების სახით ჩამოვავალიბოთ, რათა განვსაზღვროთ ის შედეგები, რაც თან ახლავს ამ ორი ინსტიტუტის ერთობლივი მოკვლევის მიზანს, ამგვარად :

1. კონტრაქტების იძულება და მიწოდებაზე უარი გარკვეული ლიმიტაციით შეიძლება განვიხილოთ ალტერნატიულ მოწესრიგებად, თუმცა ეფექტიანობისა და გამოსადეგობის კუთხით ცალსახა კონკურენციის სამართლებრივი მოწესრიგების უპირატესობა. გამომდინარე იქიდან, რომ კონტრაქტების იძულების საკანონმდებლო მოწესრიგების დეტალური ანალიზისას, სწორედ პრობლემურ ნიუანსებზე გავამახვილეთ ყურადღება, კერძოდ, ნორმის შემადგენლობაში არსებული ჩანაწერები, „დომინირებული მდგომარეობის მქონე პირის“ დეფინიციასთან და „უსაფუძვლოდ ხელშეკრულების არათანაბარ პირობებთან“ მიმართებით არ იძლევა ცალსახა განჭვრეტადობის შესაძლებლობას მათ განსაზღვრებებთან მიმართებით, რის გამოც იგი ხასიათდება ბუნდოვანებითა და პრობლემური ასპექტებით.

2. კონტრაქტების იძულება თავისთავად რომ არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად, ამას ადასტურებს ზემოაღნიშნული მსჯელობა და ამით კიდევ უფრო მყარდება მოსაზრება მისი, როგორც არასრული ალტერნატივის შესახებ.

3. გამომდინარე იქიდან, რომ ნორმის ეფექტურობის თვალსაზრისით, კონტრაქტების იძულების ინსტიტუტი საკმაო ბუნდოვანებით ხასიათდება, ცალსახაა, რომ იგი არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად. ქართული სამოქალაქოსამართლებრივი საკანონმდებლო მოწესრიგების ქმედითობისთვის, იგი შევსებას საჭიროებს სპეციალური დარგიდან, აქედან გამომდინარე, აუცილებელია კონკრეტული ნორმის, ამ შემთხვევაში კონკურენციის სამართლის შემოტანა.

4. ორი ინსტიტუტის ფუნქციურ და მიზნობრივ მსგავსებაზე საუბრისას, როგორც აღვნიშნეთ, ორივე მათგანი ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულების განსაზღვრას, შესაბამისად საქართველოს კონკურენციის სამართალი მსგავსად ევროპული სამართლისა, სწორედ ამ რეგულირებას განსაზღვრავს.

5. ევროპული და ქართული პრაქტიკის გაანალიზების შედეგად, კერძოდ, გადაწყვეტილებების მიმოხილვისას, გამოიკვეთა, რომ კონტრაქტების იძულება საქართველოშიც და ევროპაშიც მიწოდებაზე უარის სამართლებრივი შედეგია.

ამგვარად, ევროპულ კონკურენციის სამართალში მიწოდებაზე უარის საკანონმდებლო რეგლამენტაციამ საკმაო ეფექტურობა გამოამჟღავნა და მისი პრაქტიკაში დამკვიდრება შეუქცევად პროცესად იქცა. რაც შეეხება ქართულ რეალობას, საკვლევი თემის ფარგლებში მიმოხილულ იქნა კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება,<sup>178</sup> რომელმაც მოიცვა ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მიწოდებაზე უარის ინსტიტუტთან და აგრეთვე კონტრაქტების იძულების ურთიერთკავშირთან მიმართებით გამოიკვეთა. ამ დროისათვის ეს გადაწყვეტილება ერთგვარი მონაპოვარია ქართული კონკურენციის სამართლის დარგისთვის ამ მიმართულებით, გამომდინარე იქიდან, რომ აქამდე პრაქტიკაში მიწოდებაზე უარი, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე არ დადგენილა. ერთია მოახდინო ევროპული რეგულირების მისადაგება და

---

<sup>178</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44 , 19.02.2020

კანონმდებლობაში გაწერა და მეორე ქართულ რეალობასთან მიმართებით მისი პრაქტიკაში განხორციელება, რადგან კანონის ქმედითობას სწორედ მისი პრაქტიკული სიცოცხლისუნარიანობა განაპირობებს.

გარდა ამისა, გარკვეული რეკომენდაციის სახით, შეიძლება განისაზღვროს, რომ სამოქალაქო დავებში მხარეების მიერ უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული კონკურენციისსამართლებრივი ინსტრუმენტები, მათ შორის კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულებისა და კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების კერძოსამართლებრივ დავაში მტკიცებულებად გამოყენების კუთხით.

უფრო დეტალურად შეგვიძლია განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება კონკურენციის კანონმდებლობის კერძო აღსრულების მექანიზმად, კერძოდ ეს არის კონკურენციის კანონმდებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, რაც სხვადასხვა დასავლურ მართლწესრიგში ამგვარად არის დამკვიდრებული.<sup>179</sup> გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობა ახლად ჩამოყალიბებული დარგია, პრაქტიკაშიც აღსრულების მექანიზმებიც არ არის დადგენილი<sup>180</sup> და შესაბამისად კერძო აღსრულების მექანიზმის გამოყენებაც ნაკლებად გვხვდება, სწორედ ამის გამო ჩამოყალიბდა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია. ხოლო რაც შეეხება, კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების მტკიცებულებად გამოყენებას კერძოსამართლებრივ დავაში, მაგალითად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, ასეთ შემთხვევაში, უწყებას უკვე დადგენილი აქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედება და დაზარალებულ პირს სამტკიცებლად რჩება მხოლოდ ის გარემოება, რომ ზიანი არსებობს და მიზეზშედეგობრივი კავშირი იკვეთება ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.<sup>181</sup>

---

<sup>179</sup> ადამია გ. „კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 10/2020, გვ. 22

<sup>180</sup> იქვე, გვ. 24

<sup>181</sup> იქვე, გვ. 25-26

დასასრულ, ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია კონკურენციის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება გამომდინარე იქიდან, რომ დისკუსია იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკის მსგავსი ქვეყნისთვის ზედმეტი ტვირთია კონკურენციის კანონმდებლობა, საფუძველს მოკლებულია, რადგანაც საკვლევმა თემამ გამოავლინა ამ დარგის აუცილებლობა და ეფექტიანობა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის სამართლის პარალელურად არსებულ უკვე კარგად განვითარებულ სამოქალაქო სამართალში გვაქვს ეკვივალენტური ინსტიტუტი კონტრაქტების იძულების სახით, იგი გაანალიზდა, როგორც არასრული ალტერნატივა, რადგანაც ფუქციონირებისათვის სამართლის სპეციალური დარგიდან საჭიროებს შევსებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპული მოდელის გადმოღება საბოლოო ჯამში კონკურენციის სამართლის, როგორც შედარებით ახალი დარგის განვითარებას გამოიწვევს და პრაქტიკაში მისი დამკვიდრება და სიცოცხლისუნარიანობის შექმნა შეუქცევად პროცესად იქცევა. შედეგად კი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება და მისი პრაქტიკაში დამკვიდრება განაპირობებს საკუთრივ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, მეტ ინოვაციასა და ინვესტიციებს და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რაც ძირეული მნიშვნელობის მქონეა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

## ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

### ნორმატიული მასალა:

- ✓ საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 2012 წლის 8 მაისი, №6148-IX
- ✓ საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; 1997 წლის 26 ივნისი, №786-III
- ✓ Treaty on the Functioning of the European Union , *Official Journal C 326* , 26/10/2012 P. 0001 – 0390
- ✓ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;

### გამოყენებული ლიტერატურა:

#### (ანბანურ რიგზე)

- ✓ ადამია გ. „კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 10/2020, გვ. 22, 24, 25, 26

- ✓ აკოლაშვილი მ., სერგია ნ., ჯაფარიძე ლ. , საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 45, 62, 417, 419, 420,421,442, 446, 453, 455.
- ✓ ასანიძე ნ. „დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უარყოფითი გავლენა კონკურენციის პოლიტიკაზე“, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, შრომების კრებული, თბილისი, 17-18 ნოემბერი 2017, გვ. 27.
- ✓ გაბრიჩიძე გ. , ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა , თბილისი, 2012, გვ. 251.
- ✓ გელაშვილი ი. ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 319-ე მუხლი, თბილისი, 2019, გვ. 55, 60, 61.
- ✓ გუგუტიშვილი მ. “სახელშეკულებო თავისუფლება და მისი საზღვრები ქართულ კერძო სამართალში”; სამეცნიერო ჟურნალ-„ახალგაზრდა ადვოკატების“ მეექვსე ნომერი,დეკემბერი, 2016, გვ. 28, 29.
- ✓ ზოიძე ბ. , ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 288
- ✓ კერესელიძე დ. , კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 83.
- ✓ ლაკერბაია თ. , ზაალიშვილი ვ. , ზოიძე თ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), IBSU; თბილისი, 2018, გვ. 44.
- ✓ მაისურაძე დ.,სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ. , ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები. I ნაწილი , თბილისი, 2018, გვ. 217.

- ✓ მენაბდიშვილი ს. „მიწოდებაზე უარი როგორც დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე“, სამართლებრივი ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N3(67 )'20, 2020, გვ. 10, 13, 18.
- ✓ მენაბდიშვილი ს. „საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან“ (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად) „ევროკავშირი საქართველოსთვის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ , თბილისი, 2018, გვ. 30.
- ✓ მესხიშვილი მ. „ხელშეკრულებების პირობითი დაყოფა ტიპებად“, დოქტორანტა კვლევითი კომპონენტები, 2015, გვ. 38.
- ✓ ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი № 5; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, გვ. 74, 76, 77
- ✓ ქანთარია გ. „ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლება კონტრაქტების იძულებისას ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თსუ სამართლის მიმოხილვა, საიუბილეო გამოცემა N3, 2018, გვ. 67, 68, 70, 71.
- ✓ შველიძე ზ. , სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი დისრიმინაციის დავისას, თბილისი, 2019, გვ. 126, 127
- ✓ ჩაჩავა ს. , მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, გვ. 100.
- ✓ ცერცვაძე გ. , კონკურენციის სამართალი-ევროპული მოდელი საქართველოსთვის, ტომი I, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 235, 236, 261, 264.
- ✓ ჭანტურია ლ. , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მე-10 მუხლი, თბილისი, 2017, გვ. 58.

- ✓ ჯაფარიძე ლ. „კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში - მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები“ , კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები (შრომები), თბილისი, 2016, გვ. 8, 9
- ✓ ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 36, 67, 163, 169.
- ✓ ჯორბენაძე ს. , ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ. 202, 221.
- ✓ Brouwer Onno W. „An Improved Framework for Refusal to Supply Cases“, Global Competition Law Centre, Second Annual Conference, Brussels, 17 June 2005, p. 1, 13.
- ✓ Dabbah M.M. „European Union competition law; Module B: Abuse of a dominant position“, Revised edition, University of London 2012, p. 31, 32, 33.
- ✓ Incardona R. “Modernisation of Article 82 EC and Refusal to supply: any real change in sight? European Competition Journal, December 2006, p. 346.
- ✓ Lambertz A. “The Role of Competition Law in Regulatory European Private Law”, Marble Research Papers; 2013, p. 300.
- ✓ Lang J.T. “ Defining Legitimate Competition: Companies Duties to Supply Competitors and Access to Essential Facilities; Fordham International Law Journal ; Volume 18, Issue 2 ; 1994 Article 4, p. 445
- ✓ Lidgard H.H. “Refusal to Supply or to License“, 2010, p. 2,3.
- ✓ Scholar J. K. and Prize W. G. „Essential Facilities in the European Union: Bronner and Beyond „, Columbia Journal of European Law, Brussels, 2004, p. 2, 7, 12, 13, 14, 29.

- ✓ Subiotto R. ; O'Donoghue R. „Defining the Scope of the Duty of Dominant Firms to Deal with Existing Customers under Article 82 EC „, 2003, p. 684, 685, 686.
- ✓ Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, p. 201, 697, 708.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- ✓ Case C-7/97, *Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprint Zeitungs- und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG, Mediaprint Zeitungsvertriebsgesellschaft mbH & Co. KG and Mediaprint Anzeigengesellschaft mbH & Co. KG* [1998], ECR. I-7791, ECLI:EU:C:1998:569
- ✓ Joined cases 6 and 7-73. *Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission of the European Communities*, [1974] ECR 223, ECLI:EU:C:1974:18
- ✓ Case 238/87, *AB Volvo v Erik Veng (UK) Ltd.* [1988], ECR -6211, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:477
- ✓ 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities* [1978] ECR 207, ECLI:EU:C:1978:22 .
- ✓ Case 53/87, *Conorzio italiano della componentistica di ricambio per autoveicoli and Maxicar v Régie nationale des usines Renault*, [1988], ECR 6039, ECLI identifier: ECLI:EU:C:1988:472
- ✓ Joined cases C-241/91 P and C-242/91 P; *Radio Telefis Eireann (RTE) and Independent Television Publications Ltd (ITP) v Commission of the European Communities.* [1995], ECR I-743, ECLI:EU:C:1995:98

- ✓ Case T-504/93, *Tiercé Ladbroke SA v Commission of the European Communities*. [1997], ECR II-923, ECLI:EU:T:1997:84.
- ✓ Case C-418/01. *IMS Health GmbH & Co. OHG v NDC Health GmbH & Co. KG*. [2004] ECR I-5039, ECLI:EU:C:2004:257
- ✓ Case T-201/04, *Microsoft Corp. v Commission of the European Communities* [2007] ECR II-3601, ECLI:EU:T:2007:28
- ✓ Joined cases C-468/06 to C-478/06, *Sot. Lélos kai Sia EE and Others v GlaxoSmithKline AEVE Farmakeftikon Proionton, formerly Glaxowellcome AEVE* [2008] ECR I-7139, ECLI:EU:C:2008:504.

**ევროპული კომისიისა და კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები:**

- ✓ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/44, 19.02.2020, გვ. 67, 71,72, 73, 75, 76, 84, 113, 115,116.
- ✓ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N 04/91 , 21.04.2017
- ✓ Case 94/19/EC: Commission Decision of 21 December 1993 relating to a proceeding pursuant to Article 86 of the EC Treaty (IV/34.689 - Sea Containers v. Stena Sealink - Interim measures)

**დამხმარე მასალა:**

- ✓ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, თბილისი, 2014.
- ✓ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, გვ. 23.
- ✓ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის

აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018; გვ. 41, 42.

- ✓ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, 2019, გვ. 149, 179.
- ✓ Communication from the Commission — Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings (2009/C 45/02) , Official Journal of the European Union, C 45/7, 24.2.2009, para. 75, 77, 79, 88.
- ✓ DG Competition discussion paper on the application of Article 82 of the Treaty to exclusionary abuses, Brussels, December 2005, p. 18, 24, 25, 26.
- ✓ Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002; p. 20, 21.
- ✓ OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996; p. 220.
- ✓ OECD's Report on Refusals to Deal, 2007, p. 23, 42, 44, 45, 202, 204, 205.
- ✓ Roundtable on Refusals to Deal -Note by the European Commission; DAF/COMP/WD(2007)100; Organisation de Coopération et de Développement Economiques; Organisation for Economic Co-operation and Development 04-Oct-2007, p. 2, 4, 5, 6, 7.

**ელექრონული რესურსები: (05.09.2021 მდგომარეობით)**

Abusing a dominant position-overview,

[https://www.lexisnexis.com/uk/lexispsl/competition/document/391329/55KB-7MK1-F187-53G2-00000-00/Abusing\\_a\\_dominant\\_position\\_overview](https://www.lexisnexis.com/uk/lexispsl/competition/document/391329/55KB-7MK1-F187-53G2-00000-00/Abusing_a_dominant_position_overview)

### **დადასტურება ნაშრომის ორიგინალურობის შესახებ**

მე, ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში მისი შედეგების ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.